# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 9 ივნისი 2008 №130 (3354) ფასი 50 თეთრი

## დღევანდელი „სარბიელი“ 20-გვერდიანია

# ალექსანდრე მეორედ

## გიორგი მერებაშვილმა მაგრად აკრიფა



62 სპორტულ ჟურნალისტს, „სარბიელის“ ტრადიციულ გამოკითხვაში რომ მიიღეს მონაწილეობა, ახალი ფავორიტები ჰყავთ: ალექსანდრე იაშვილი 2007-2008 წლების სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელია, ხოლო გიორგი მერებაშვილი — საქართველოს ჩემპიონატის საუკთესო მოთამაშე.

თუმცა იაშვილზე მთლად ახალ რჩეულსაც ვერ ვიტყვით, რაკი მას ოთხი წლის წინაც აქვს მოპოვებული საუკეთესოს ტიტული.

„სარბიელი“ გამოკითხვას უკვე 16 წელია, ატარებს და მთავარ ნომინაციაში 8 გამარჯვებული ჰყავს. „სარბიელის“ პრიზი ოთხჯერ მიიღო კახა კალაძემ, სამჯერ შოთა არველაძემ, ორ-ორჯერ გიორგი ქინქლაძემ, ლევან კობიაშვილმა და ახლა უკვე ალექსანდრე იაშვილმაც. თითოჯერ კი ეს პრიზი აკაკი დევაძეს, ზაზა ჯანაშიას და თემურ ქეცბაიას მოუგიათ.



# ევროპა უექველზე აეწყო

## სახეები და შედეგები: ცნობადები და გამოცნობადები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირაძეს ტერეკთან ცხვირი გაუტყდა



**ნალჩიკის** „სპარტაკის" თავდამსხმელმა დავით სირაძემ კისლოვოდსკში გროზნოს „ტერეკთან" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ცხვირი გაიტეხა.

ნალჩიკელთა ექიმის განცხადებით, ქართველი ლეგიონერი მწყობრში ალბათ მეორე შეკრებისთვის იქნება, რომელიც 12 ივნისს დაიწყება.

„სპარტაკმა" გროზნოელები 2:0 დაამარცხა და სირაძის გარდა, გოგიტა გოგუამ და ალექსანდრე ამისულაშვილმაც ითამაშეს.

**კახა ზალამბერიძე**

# ქართულ-რუსული ტესტები

**რუსული** კლუბები ჩემპიონატის განახლებამდე მზადებას აგრძელებენ და საწვრთნელ შეკრებებზე იმყოფებიან. რა თქმა უნდა, ამხანაგურ მატჩებსაც მართავენ.

ჩემპიონატის ლიდერმა ყაზანის „რუბინმა" პირველი შეკრება „სატურნთან" მატჩით დაასრულა. ყაზანელებმა 1:2 წააგეს.

ახალგამოჯანმრთელებულ ნუკრი რევიშვილს არ უთამაშია, დავით კვირკველია პირველ ტაიმში გაისარჯა, ხოლო ლაშა სალუქვაძე მეორეში.

ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგია" კი ავსტრიაშია და იქაურ „აუსტრიასთან" 1:1 ითამაშა. ჩვენებური 90 წუთი იყო მოედანზე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბათიაშვილი ალავიძის ნაცვლად

**თბილისის** „ლოკომოტივი" ინტორტოტოს თასზე რომ ითამაშებს, ძველი ამბავია. დედაქალაქელებმა ევროთასისთვის მზადება 4 ივნისს დაიწყეს. პირველ დღეებში გიორგი კიკნაძე შეგირდებს ვაკის პარკში ამზადებდა, გუნდმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარა.

როგორც მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ გუშინ გვითხრა, „ლოკომოტივი" მეკარე მიხეილ ალავიძემ დატოვა, თუმცა შევსება მალევე მიიღეს — ზურაბ ბათიაშვილი, რომელიც ბოლოს პირველლიგელ „აგრაში" ირიცხებოდა. ბათიაშვილის მოსვლამდე, თბილისელებმა „ბორჯომიდან" ირაკლი ჩირიკაშვილიც შეიმატეს.

ახლა გუნდს ორჯერადი ვარჯიშებს აქვს. ზამთარაძის თქმით, რამდენიმე ფეხბურთელი ისინჯება და მათი წასვლა-დარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

შეგახსენებთ, „ლოკომოტივი" ლუქსემბურგულ „ეტცელასთან" პირველ შეხვედრას 21 ივნისს გამართავს.

**ნუკრი ლოლაძე**

# პუნტუსმა კვარაცხელიას ცეცხლი მოუწონა

**გივი კვარაცხელიას** გოლიანი დებიუტი რომ გამოუვიდა ბელარუსის ჩემპიონატში, უკვე გვეწერა. ჩვენებური კლუბის ხელმძღვანელობას ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად მიაჩნია და „მტზ-რიპოს" თავკაცი იური პუნტუსი ამას არც მალავს.

ბელარუს ჟურნალისტებს პუნტუსმა სადებიუტო მატჩის შემდეგ კვარაცხელია ასე დაუხასიათა:

„კვარაცხელია მაღალი დონის ფეხბურთელია. სანამ ძალა ჰქონდა, ნორმალურად გამოიყურებოდა და გოლიც გაიტანა, მაგრამ ჯერ 100 პროცენტით მზად არ არის. მატჩამდე ჩაფიქრებული მქონდა, მისთვის დასვენების საშუალება მიმეცა, თუმც თვალებში ცეცხლი ენთო და მოედანზე შევარდნას ითხოვდა. იმის მიუხედავად, რომ საუკეთესო ფორმისგან შორს არის, ვთვლი, რომ ღირსეულად ითამაშა. ჩვენ კვარაცხელიას უეფას თასის თამაშებისთვის ვამზადებთ, სადაც მან უდიდესი სარგებლობა უნდა მოუტანოს გუნდს".



გიგი კვარაცხელია (მარცხნივ)

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გაბონელი ქართველობა

**საქართველოში** მოთამაშე ლეგიონერების უმრავლესობა თავიანთი ქვეყნების ნაკრებების ფეხბურთელები არიან და ხშირად უწევთ ეროვნულ გუნდში თამაში.

7 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გაბონელმა ლეგიონერებმა ითამაშეს — გაბონი ლიბიასთან სტუმრად 0:1 დამარცხდა.

გაბონელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშეს რუსთავის „ოლიმპის" მცველმა ერნესტ აკუასაგამ, „ზესტაფონის" ნახევარმცველმა პოლ კესანიმ და „დინამოს" მეკარე დიდიე ოვონომ, ხოლო დინამოელი თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი მოედანზე 82-ე წუთზე შევიდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტოპმიოლერის თითქმის განა



**საქართველოს** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი, შესაძლოა, განის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში.

„ორი კვირის წინ განის ფეხბურთის ასოციაციიდან შთამბეჭდავი წინადადება მივიღე. მათ გადაწყვეტილი აქვთ, გუნდმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს. ვფიქრობ, განელ ფეხბურთელებს ეს ძალუძთ. რაც შეეხება კონტრაქტს: ძირითად საკითხებზე უკვე მოვილაპარაკეთ. დასაზუსტებელი მხოლოდ დეტალებია" — განუცხადა ტოპმიოლერმა გერმანულ „ბილდს".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**






## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აზია. ჯგუფური ეტაპი IV ტური

ჩრდილოეთ კორეა — თურქმენეთი 1:0; ჩინეთი — ყატარი 0:1; ომანი — იაპონია 1:1; უზბეკეთი — სინგაპური 1:0; იორდანია — სამხრეთ კორეა 0:1; ლიბანი — საუდის არაბეთი 1:2; ერაყი — ავსტრალია 1:0; საემიროები — ირანი 0:1; ბაჰრეინი — ტაილანდი 1:1; ქუვეითი — სირია 4:2

### აფრიკა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

ჯიბუტი — ეგვიპტე 0:4; ალჟირი — ლიბერია 2:0; სეიშელები — ტუნისი 0:2; კენია — გვინეა 2:0; ჩადი — მალი 1:2; სიერა ლეონე — ნიგერია 0:1; კაბო ვერდე — ტანზანია 1:0; მავრიტანია — მაროკო 1:4; ბურკინა ფასო — ბურუნდი 2:0; ლიბია — გაბონი 1:0; მავრიკეთი — კამერუნი 0:3; ეთიოპია — რუანდა 1:2; მოზამბიკი — ბოტსვანა 1:2; სვაზილენდი — ტოგო 2:1; ზიმბაბვე — ნამიბია 2:0; კონგო — სუდანი 1:0; კონგოს დ. რ. — მალავი 1:0; ბენინი — უგანდა 4:1; ნიგერი — ანგოლა 1:2; გამბია — სენეგალი 0:0; ლესოტო — განა 2:3; მადაგასკარი — კოტ დივუარი 0:0

## აფრიკის ეროვნებათა თასი 2010

### შესარჩევი მატჩი. II ტური

სამხრეთ აფრიკა 4:1 ეკვ. გვინეა

## ნორვეგია

### ტიპელიგა X ტური

სტრიომსგოდსეტი — სტაბეკი 0:0; ლილესტრიომი — ალესუნდი 3:0; მიოლდე — ლინი 0:1; ტრომსიო — ფრედრიკსტადი 0:1; ვიკინგი — ბოდიო გლიმტი 2:0

### ადეკოლიგა X ტური

ოდ გრენლანდი — ბრინი 5:1; ალტა — ნიბერგსუნდი 1:2; ჰიოდი — სანდნესი 1:1; ჰიონეფოსი — ნოტოდენი 1:1; კონგსვინგერი — სოგნდალი 4:3; ლიოვჰამი — მოსი 1:1; სპარტა — სანდეფიორდი 1:1; სტარტი — ჰაუგესუნდი 2:0

## ბრაზილია

### სერია A V ტური

ფლამენგო — ფიგეირენსე 5:0; იპატინგა — ნაუტიკუ 0:0; სან პაულუ — ატლეტიკუ მინეირუ 5:1; ატლეტიკუ პარანაენსე — გოიაში 5:0; გრემიუ — ფლუმინენსე 2:1; პორტუგეზა — ინტერნასიონალი 3:1; რესიფე — პალმეირასი 2:0; ბოტაფოგუ — კურიტიბა, კრუზეირუ — ვასკუ და ვიტორია — სანტოსი წუხელ გვიან დასრულდა

## არგენტინა

### კლაუსურა. XVIII ტური

არსენალი — ხიმნასია (ლ. პ.) 1:0; ნიუელსი — ხიმნასია (ხ) 2:2; რასინგი — ურაკანი 1:0; სან მარტინი — როსარიო 0:0; ტიგრე — არგენტინოსი 1:0; სან ლორენსო — ბანფილდი 3:2; ველესი — ინდეპენდიენტე 0:0; ესტუდიანტესი — კოლონი 0:0; რივერ პლეიტი — ოლიმპო 2:1. ლანუსი — ბოკა ხუნიორსი წუხელ გვიან დასრულდა

## ამხანაგური მატჩები

ბრაზილია — ვენესუელა 0:2, ტრინიდადი და ტობაგო — იამაიკა 1:1, ჩილე — პანამა 0:0, ჰონდურასი — ჰაიტი, აშშ — არგენტინა და მექსიკა — პერუ წუხელ გვიან დასრულდა

## იტალია

### სერია B. პლეი ოფი ნახევარფინალი საპასუხო მატჩები

ალბინოლეფე 2:1 ბრეშა (0:1)

ლეჩე 2:1 პიზა (1:0)

### სერია C1/A. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

კრემონეზე 1:3 ჩიტადელა (1:0)

### სერია C1/B. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

ანკონა 2:1 ტარანტო (0:0)

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი ILI ტური

ელჩე — ერკულესი 0:2; ალავესი — სოსიედადი 3:2; კადისი — სევილია ატლ. 0:0; კასტელიონი — ხიხონი 1:0; კორდობა — ფეროლი 1:0; ეიბარი — ნუმანსია 1:0; ეხიდო — ალბასეტე 0:0; გრანადა 74 — მალაგა 0:0; ლას პალმასი — ხერესი 0:0; სალამანკა — სელტა 3:1; ტენერიფე — ხიმნასტიკი 2:1

## დანია

### II დივიზიონი. XXX ტური

აკადემისკი — კიოგე 1:1; ფრედერისია — იოლსტიკე 1:1; ფრემი — ვეილე 1:0; ჰელერუპი — ორჰუს ფრემადი 2:2; ჰერფიოლგე — ჰვიდოვრე 0:1; კოლდინგი — სილკებორგი 2:4; ნიუკიობინგი — სკივე 1:0; სონდერიისკე — ნესტვედი 1:1

## შვედეთი

### სუპერეტა. X ტური

მიალბი — ლანდსკრონა 4:1. იონჩოპინგსი — ბრომაპოიკარნა, ანგელჰოლმსი — ფალკენბერგსი, ატვიდაბერგი — ჰეკენი, ბუნკეფლო — ენჩოპინგსი, დეგერფორსი — ასირისკა და იორგრიტე — ქვიდინგი დღეს

## ისლანდია

### პრემიერლიგა. VII ტური

ფრამი — გრინდავიკი 0:1; ჰაფნარფიორდური — ფიოლნირი 2:0; კეფლავიკი — რეიკიავიკი 4:2; კოპავოგური — აკრანესი 1:1; ვალური — ბრეიდაბლიკი 1:0

## აშშ

### მეიჯორლიგა. XII ტური

ნიუ ინგლენდი — დალასი 2:1; კოლამბუსი — სან ხოსე 0:2; ჩიკაგო — ვაშინგტონი 1:2; სოლტ ლეიკი — კანზასი 0:0; ლოს ანჯელესი — კოლორადო 3:2. ჰიუსტონი — ტორონტო წუხელ გვიან დასრულდა

## ურუგვაი

### კლაუსურა პლეი ოფი. ფინალი

პენიაროლი 5:3 რივერ პლეიტი

# სარბიელის გამოკითხვა

*ალექსანდრე იაშვილი და გიორგი მერებაშვილი — 62-მა სპორტულმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა, რომ 2007-2008 წლების სეზონში ქართველთაგან და საქართველოს ჩემპიონატში მათზე უკეთ არავის უთამაშია. „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვა წლეულს მეთექვსმეტედ ჩატარდა და იაშვილის გამარჯვებით მეორედ დასრულდა. ხოლო მერებაშვილისთვის ეს პირველი გამარჯვებაა. შედეგებს რომ გადახედავთ, მერებაშვილის თვალსაჩინო გამარჯვებას მიაქცევთ ყურადღებას. როგორც წესი, ასეთი უპირატესობით ვერ იგებენ ხოლმე, აი, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში კი ხმათა დათვლის პროცესი გვარიანად საინტერესო იყო. ანკეტების დაახლოებით ნახევრის დათვლის მერე კახა კალაძეს მეტი ქულა ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ იაშვილმა გადასძალა...*





## „სარბიელის" თექვსმეტივე გამოკითხვის გამარჯვებულები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1992-93 | გიორგი ქინქლაძე | 2000-01 | კახა კალაძე |
| 1993-94 | შოთა არველაძე | 2001-02 | კახა კალაძე |
| 1994-95 | აკაკი დევაძე | 2002-03 | კახა კალაძე |
| 1995-96 | გიორგი ქინქლაძე | 2003-04 | ალექსანდრე იაშვილი |
| 1996-97 | თემურ ქეცბაია | 2004-05 | ლევან კობიაშვილი |
| 1997-98 | შოთა არველაძე | 2005-06 | კახა კალაძე |
| 1998-99 | ზაზა ჯანაშია | 2006-07 | შოთა არველაძე |
| 1999-00 | ლევან კობიაშვილი | 2007-08 | ალექსანდრე იაშვილი |

## საქართველოს 2007-08 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრე | იაშვილი | კარლსრუე (გერმანია) | 19 | 12 | 5 | 136 |
| 2 | კახა | კალაძე | მილანი (იტალია) | 13 | 10 | 11 | 106 |
| | დავით | კვირკველია | რუბინი (რუსეთი) | 12 | 11 | 13 | 106 |
| 4 | ლევან | კობიაშვილი | შალკე (გერმანია) | 8 | 7 | 5 | 66 |
| 5 | ლევან | ყენია | შალკე (გერმანია) | 4 | 7 | 12 | 53 |
| 6 | ზურაბ | ხიზანიშვილი | ბლექბერნი (ინგლისი) | — | 5 | 1 | 16 |
| 7 | ჯაბა | კანკავა | დნიპრო (უკრაინა) | 2 | — | 2 | 12 |
| 8 | გიორგი | შაშიაშვილი | შტურმი (ავსტრია) | 1 | 1 | 2 | 10 |
| 9 | რატი | ალექსიძე | ლოკომოტივი | 1 | — | — | 5 |
| 10 | დავით | სირაძე | ნალჩიკი (რუსეთი) | — | 1 | — | 3 |
| | გოგიტა | გოგუა | ნალჩიკი (რუსეთი) | — | 1 | — | 3 |
| 12 | გიორგი | მერებაშვილი | დინამო | — | — | 1 | 1 |
| | მალხაზ | ასათიანი | ლოკომოტივი (რუსეთი) | — | — | 1 | 1 |
| | გოჩა | ხოჯავა | ანჟი (რუსეთი) | — | — | 1 | 1 |
| | გიორგი | ნავალოვსკი | ანჟი (რუსეთი) | — | — | 1 | 1 |
| | გიორგი | ფოფხაძე | ვიბორგი (დანია) | — | — | 1 | 1 |

## საქართველოს XIX ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი | მერებაშვილი | დინამო | 39 | 8 | 4 | 223 |
| 2 | მიხეილ | ხუციშვილი | დინამო | 5 | 6 | 9 | 52 |
| 3 | დიმიტრი | ტატანაშვილი | ამერი | 2 | 7 | 10 | 41 |
| 4 | ჟილვან | ვიეირა | ზესტაფონი | 3 | 7 | 4 | 40 |
| 5 | ბექა | გოცირიძე | ზესტაფონი | 1 | 8 | 3 | 32 |
| 6 | რატი | ალექსიძე | ლოკომოტივი | 1 | 6 | 7 | 30 |
| 7 | დიდიე | ოვონო | დინამო | 3 | 1 | 5 | 23 |
| 8 | მათე | ვანაძე | დინამო | 2 | 2 | 2 | 18 |
| 9 | ირაკლი | კლიმიაშვილი | ვიტ ჯორჯია | 1 | 3 | 2 | 16 |
| 10 | როინ | ონიანი | ზესტაფონი | 1 | 1 | 2 | 10 |
| | პოლ | კესანი | ზესტაფონი | — | 3 | 1 | 10 |
| 12 | გიორგი | დეკანოსიძე | ამერი | — | 3 | — | 9 |
| 13 | დავით | დევდარიანი | ოლიმპი | 1 | — | 2 | 7 |
| 14 | გიორგი | ხიდეშელი | ზესტაფონი | 1 | — | — | 5 |
| | გრიგოლ | დოლიძე | ამერი | 1 | — | — | 5 |
| 16 | დენის | დობროვოლსკი | ამერი | — | 1 | — | 3 |
| | პაატა | დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია | — | 1 | — | 3 |
| 18 | ალექსანდრე | კვახაძე | ვიტ ჯორჯია | — | — | 2 | 2 |
| 19 | გიორგი | კახელიშვილი | ოლიმპი | — | — | 1 | 1 |
| | ირაკლი | ჩირიკაშვილი | სპარტაკი/ბორჯომი | — | — | 1 | 1 |
| | დავით | ოდიკაძე | დინამო | — | — | 1 | 1 |
| | ვიტალი | დარასელია | ლოკომოტივი | — | — | 1 | 1 |

| | | საქართველოს 2007-08 წლების საუკეთესო ფეხბურთელი | | | საქართველოს XIX ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი | 24 საათი | კალაძე | კობიაშვილი | ა. იაშვილი | ხუციშვილი | ვიეირა | ტატანაშვილი |
| მიხეილ აფხაზავა | სპორტსიახლენი | ა. იაშვილი | ხიზანიშვილი | გ. ფოფხაძე | ხუციშვილი | პ. დათუნაიშვილი | ალექსიძე |
| ილია ბაბუნაშვილი | სარბიელი | — | — | — | გ. მერებაშვილი | ბ. გოცირიძე | ვიეირა |
| დავით ბაკურაძე | მსოფლიო სპორტი | ა. იაშვილი | ხიზანიშვილი | კვირკველია | გ. მერებაშვილი | ბ. გოცირიძე | ალექსიძე |
| დავით ბანანაშვილი | კოლხიდა | კვირკველია | ა. იაშვილი | კობიაშვილი | გ. მერებაშვილი | დეკანოსიძე | ვიეირა |
| თათული ბართაია | კოლხიდა | ყენია | კალაძე | კვირკველია | ალექსიძე | ხუციშვილი | დარასელია |
| ელენე ბილიხოძე | პირველი რადიო | კვირკველია | ა. იაშვილი | ყენია | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი | ვიეირა |
| სლავა გასპაროვი | სარბიელი | შაშიაშვილი | კვირკველია | კალაძე | გ. მერებაშვილი | დობროვოლსკი | ტატანაშვილი |
| აკაკი გვიმრაძე | რეზონანსი | კალაძე | ა. იაშვილი | ნავალოვსკი | გ. ხიდეშელი | ბ. გოცირიძე | კლიმიაშვილი |
| ოთარ გიორგაძე | საზოგადოებრივი მაუწყებელი | კობიაშვილი | კალაძე | კანკავა | გ. მერებაშვილი | ვანაძე | ხუციშვილი |
| ლაშა გოდუაძე | gff.ge | კალაძე | ყენია | კვირკველია | გ. მერებაშვილი | ვანაძე | ოვონო |
| გია გორგოძე | ათიანი | — | — | ა. იაშვილი | გ. მერებაშვილი | ალექსიძე | დევდარიანი |
| გურანდა გურასაშვილი | მზე | კალაძე | ხიზანიშვილი | ყენია | გ. მერებაშვილი | ალექსიძე | ჩირიკაშვილი |
| ვაჟა დანელია | საქართველოს რესპუბლიკა | კანკავა | ა. იაშვილი | კვირკველია | ხუციშვილი | კლიმიაშვილი | რ. ონიანი |
| ვახტანგ დათიაშვილი | ოლიმპი | ა. იაშვილი | კობიაშვილი | ყენია | ოვონო | გ. მერებაშვილი | რ. ონიანი |
| გიორგი დარჯანია | სარბიელი | ა. იაშვილი | კვირკველია | კალაძე | ტატანაშვილი | ბ. გოცირიძე | გ. მერებაშვილი |
| ეკა ელოშვილი | მსოფლიო სპორტი | კობიაშვილი | ყენია | კალაძე | გ. მერებაშვილი | კლიმიაშვილი | ბ. გოცირიძე |
| დავით ერაძე | რუსთავი 2 | ა. იაშვილი | ყენია | კვირკველია | კლიმიაშვილი | ალექსიძე | გ. მერებაშვილი |
| გია ეჯიბია | ფაზისი TV | ყენია | კალაძე | კვირკველია | გ. მერებაშვილი | რ. ონიანი | ვანაძე |
| გიორგი ვაშაკიძე | სარბიელი | კვირკველია | ხიზანიშვილი | კალაძე | გ. მერებაშვილი | ვიეირა | ტატანაშვილი |
| ლაშა თაბაგარი | მსოფლიო სპორტი | ა. იაშვილი | კობიაშვილი | კვირკველია | ვანაძე | ბ. გოცირიძე | ა. კვახაძე |
| დავით თავართქილაძე | ლელო | ა. იაშვილი | შაშიაშვილი | კვირკველია | გ. მერებაშვილი | ვიეირა | ტატანაშვილი |
| პაატა თოთაძე | ლელო | ა. იაშვილი | კალაძე | შაშიაშვილი | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი | ვიეირა |
| კობა ინასარიძე | სარბიელი | ა. იაშვილი | — | — | გ. მერებაშვილი | დეკანოსიძე | ტატანაშვილი |
| ალეკო კაკაურიძე | ოლიმპი | კვირკველია | ა. იაშვილი | კანკავა | გ. მერებაშვილი | ბ. გოცირიძე | ოვონო |
| ფრიდონ კერვალიშვილი | ჩვენებური | კვირკველია | გოგუა | კობიაშვილი | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი | ბ. გოცირიძე |
| სოსო კოტორეიშვილი | uefa.com | ა. იაშვილი | კვირკველია | ყენია | გ. მერებაშვილი | ბ. გოცირიძე | ხუციშვილი |
| დავით კოხრეიძე | ლელო | კალაძე | ხიზანიშვილი | ყენია | გ. მერებაშვილი | ვიეირა | ხუციშვილი |
| ნუკრი ლოლაძე | სარბიელი | კვირკველია | ა. იაშვილი | ხიზანიშვილი | გ. მერებაშვილი | კესანი | ტატანაშვილი |
| მერაბ მამულაშვილი | ლელო | კვირკველია | კალაძე | ყენია | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი | ალექსიძე |
| მარი მგალობლიშვილი | რეზონანსი | კობიაშვილი | კალაძე | ასათიანი | დოლიძე | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი |
| კახა მგელაძე | ოლიმპი | ა. იაშვილი | კალაძე | კობიაშვილი | გ. მერებაშვილი | ოვონო | კესანი |
| დავით მინაშვილი | საზოგადოებრივი მაუწყებელი | ა. იაშვილი | კობიაშვილი | კალაძე | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი | ხუციშვილი |
| ილია ნანობაშვილი | სარბიელი | ა. იაშვილი | ყენია | კვირკველია | გ. მერებაშვილი | კესანი | ტატანაშვილი |
| ნუკრი ნეფარიძე | ლელო | კალაძე | — | — | ვიეირა | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი |
| დიმიტრი ობოლაძე | რუსთავი 2 | ა. იაშვილი | კალაძე | კობიაშვილი | გ. მერებაშვილი | კლიმიაშვილი | ალექსიძე |
| თენგიზ პაჭკორია | იტარ-ტასი | ყენია | ა. იაშვილი | კალაძე | ხუციშვილი | ალექსიძე | გ. მერებაშვილი |
| გია პლატონიშვილი | საქართველოს რესპუბლიკა | კვირკველია | — | — | გ. მერებაშვილი | — | — |
| მიხეილ ჟორჟოლიანი | სარბიელი | კობიაშვილი | კვირკველია | ყენია | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი | ხუციშვილი |
| მიხეილ საბახტარაშვილი | სფფ-ის პრესსამსახური | ა. იაშვილი | ყენია | კვირკველია | გ. მერებაშვილი | დეკანოსიძე | ბ. გოცირიძე |
| ლევან სალუქვაძე | იმედი | კვირკველია | ა. იაშვილი | შაშიაშვილი | გ. მერებაშვილი | კესანი | ალექსიძე |
| ბაჩო სვანიძე | სარბიელი | კვირკველია | ყენია | ა. იაშვილი | ოვონო | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი |
| გია ტუხაშვილი | ლელო | კალაძე | კვირკველია | ა. იაშვილი | გ. მერებაშვილი | ალექსიძე | ხუციშვილი |
| ვასილ უდუმაშვილი | 24 საათი | კობიაშვილი | კალაძე | ა. იაშვილი | — | — | — |
| ჯემალ ფარცხაშვილი | რუსთავი 2 | კალაძე | კობიაშვილი | კვირკველია | რ. ონიანი | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი |
| დავით ფრანგიშვილი | რუსთავი 2 | კალაძე | — | — | გ. მერებაშვილი | — | — |
| მამუკა ქანთარია | ლელო | კვირკველია | კობიაშვილი | კალაძე | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი | ტატანაშვილი |
| ზურაბ ქსოვრელი | მსოფლიო სპორტი | კობიაშვილი | კვირკველია | კალაძე | ვანაძე | ტატანაშვილი | გ. მერებაშვილი |
| კახა შალამბერიძე | სარბიელი | ა. იაშვილი | კობიაშვილი | ყენია | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი | ოვონო |
| რატი შელეგია | კვირის პალიტრა | კვირკველია | ყენია | კალაძე | ხუციშვილი | ვიეირა | ალექსიძე |
| რევაზ შენგელია | სფფ | ა. იაშვილი | კალაძე | გ. მერებაშვილი | გ. მერებაშვილი | ვიეირა | ოვონო |
| ნანა ჩოკორაია | მზე | ყენია | ა. იაშვილი | კობიაშვილი | ბ. გოცირიძე | გ. მერებაშვილი | კახელიშვილი |
| დავით ცაბაძე | ლელო | კალაძე | კვირკველია | ყენია | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი | ალექსიძე |
| ზაზა წულაძე | PAPRESS | კალაძე | სირაძე | ყენია | ვიეირა | ალექსიძე | ოდიკაძე |
| გიორგი ჭინჭარაული | ახალი თაობა | კობიაშვილი | ა. იაშვილი | კალაძე | ტატანაშვილი | — | — |
| დავით ჭიტაძე | 11x11 | კანკავა | კვირკველია | კალაძე | გ. მერებაშვილი | ხუციშვილი | ა. კვახაძე |
| ვაჟა ხუციშვილი | სარბიელი | კალაძე | კვირკველია | ყენია | გ. მერებაშვილი | ტატანაშვილი | ვანაძე |
| მარი ჯავახიშვილი | World Soccer | ა. იაშვილი | კვირკველია | ყენია | გ. მერებაშვილი | ბ. გოცირიძე | ხუციშვილი |
| ლევან ჯანეზაშვილი | ლელო | კალაძე | ა. იაშვილი | კვირკველია | გ. მერებაშვილი | ვიეირა | ოვონო |
| თემურ ჯაფარიძე | საზოგადოებრივი მაუწყებელი | ალექსიძე | — | — | დევდარიანი | — | — |
| მიხეილ ჯორბენაძე | პირველი სტერეო | ა. იაშვილი | კვირკველია | ხოჯავა | ვიეირა | გ. მერებაშვილი | დევდარიანი |
| პაატა ძნელაძე | ოლიმპი | კობიაშვილი | ა. იაშვილი | კვირკველია | ოვონო | გ. მერებაშვილი | კლიმიაშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადღაც იქ, გულის სიღრმეში...

## ალექსანდრე იაშვილი მეორედ პირველია

ალექსანდრე იაშვილს კარგად იცნობს ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი. იგი წლების განმავლობაში ატარებს ეროვნული ნაკრების მაისურას და მართალია, განვლილ წლებში ნაკრები ხშირად ვერც ახარებდა და ვერც ალაფრთოვანებდა ხალხს, მაგრამ „იაშკაზე" აუგი მხოლოდ ბოროტ ენას თუ დასცდება. ათეულობით თამაშში ის დარბოდა, უტევდა, იხსნებოდა, ცდილობდა, არტყამდა, გაჰქონდა, მუშაობდა... შრომისმოყვარეობა! აი, ამ თვისებით გამოირჩევა ალექსანდრე იაშვილი და ახალგაზრდა ქართველმა ფეხბურთელებმა პირველ რიგში მაგალითად ეს უნდა აილონ თანამედროვე ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე პირნათელი მოთამაშისგან, რადგან ყველაზე მეტად ეს თვისება აკლიათ ფეხბურთზე ორი კვირის წინ შესულ ქართველ ბავშვებსაც და კარიერაგაკეთებულ ჩამოყალიბებულ მოთამაშეებსაც. იმიტომაც „დგანან" ქართული გუნდები, რომ „იაშკას" მსგავსნი ბევრნი ნამდვილად არ გვყავს.



გერმანიაშიც ამდენი ხანი ვინ გააჩერებდა? არადა, ალარც გვახსოვს, „იაშკა" როდის ჩავიდა იქ, იმდენად დიდი ხნის წინ დამკვიდრდა გერმანულ ფეხბურთში და დაიგდო სტაბილური ფეხბურთელის სახელი. ვარსკვლავი არასდროს ყოფილა, მაგრამ მუდამ აფასებდნენ, „ფრაიბურგშიც" და ბოლო ერთი წელია, აფასებენ უკვე „კარლსრუეშიც". რაც ამ გუნდში გადავიდა, თავდასხმიდან მარცხენა ნახევარმცველად კი დასწიეს, მაგრამ ეს სულ არ აკნინებს მას როგორც ფეხბურთელს. პირიქით, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის შრომისმოყვარეობას და პირველ რიგში სწორედ ამის გამო დააფასა ის ჩვენმა ამქარმა — სპორტულმა ჟურნალისტებმა ალექსანდრე იაშვილი მეორედ დავასახელეთ საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად და აქვე გთავაზობთ მასთან ტრადიციულ, სალაურეატო ინტერვიუს...

— ტრადიციას არც ამჯერად ვულალატებთ და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთან ამ ინტერვიუსაც ტრადიციული ორი კითხვით დავიწყებთ: ელოდი გამოკითხვაში გამარჯვებას?

— გამარჯვებაში მთლად დარწმუნებული, ცხადია, არ ვიყავი, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში კი ვფიქრობდი, რომ იქნებ საუკეთესოდ დამასახელონ-მეთქი. ახლა, როცა შედეგები შეჯამებულია და თქვენი პრიზი ჩემია, უბედნიერესი ადამიანი ვარ. შენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელობაზე მეტი წარმატება რა შეიძლება, იყოს?! დიდი მადლობა ჟურნალისტებს ასეთი დაფასებისთვის. ისე კი, როცა პირველად ჩავიბარე თქვენი პრიზი, პირველობას მაშინ უფრო ველოდი, თუმცა გავიმეორებ, რომ მთლად იმედგადაწურული არც ახლა ვიყავი.

— შენთვის რომ გვეკითხა, როგორ სამეულს ჩამოწერდი?

— გამიჭირდებოდა რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა. ლევან კობიაშვილი ტრავმებმა გააწვალეს, იგივე ითქმის კახა კალაძეზეც, დავით კვირკველიამ კი სეზონი ახლახან დაიწყო. ვფიქრობ, რომ წლეულს უფრო რთული იქნებოდა საუკეთესოს გამოვლენა, ვიდრე უწინ.

— რაკი საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეთ, ეს სეზონი შენთვის უკვე გამორჩეული იქნება. კიდევ რა იყო შენთვის დასამახსოვრებელი?

— ის, რომ ეს სეზონი ახალ გუნდში გავატარე და ამ ახალ გუნდში ჩემი ადგილი მოვიპოვე. სეზონის წინ ჩემთვის არავის მოუცია ძირითადში თამაშის გარანტია და თავიდან გამიჭირდა კიდეც, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო და ძირითადში ადგილი დავიმკვიდრე. თანაც ახალ პოზიციაზე ვითამაშე, მთელი სეზონი, ფაქტობრივად, მარცხენა ნახევარმცველი ვიყავი.

— ფიქრობ, რომ კარიერაში საუკეთესო სეზონი გქონდა?

— არა, წლევანდელზე უკეთ ადრეც მითამაშია, თუმცა, ცხადია, ახლაც კარგი სეზონი მქონდა. ვამაყობ, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში ვთამაშობ და ჩემს კლუბში, გავიმეორებ, ჩემი ადგილი დავიმკვიდრე. ბუნდესლიგის მეორე წრეში „კარლსრუე" „ვოლფსბურგს" ხვდებოდა და ჩვენი ცენტრალური ნახევარმცველი ჰაინალი დისკვალიფიცირებული იყო. მწვრთნელს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მის პოზიციაზე მე დავეყენებინე, მაგრამ გუნდის ვიცე-კაპიტანმა აიხნერმა სთხოვა, ჩემთვის პოზიცია არ შეეცვალა. საქმე ისაა, რომ აიხნერი ჩემს ფლანგზე მცველად თამაშობს და ერთმანეთის კარგად გვესმის. მოგვიანებით კი „კარლსრუემ" აიხნერთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა, ხოლო მან ხელმოწერამდე თქვა: ჩემი სურვილია, რომ იაშვილმა ისევ მარცხენა ნახევარმცველად ითამაშოსო. დამეთანხმებით, სასიამოვნოა, როცა თანაგუნდელები ასე გაფასებენ. ეს ყველაფერი კი იმად გავიხსენე, რომ ერთხელაც ვთქვა, „კარლსრუეში" ადგილი დავიმკვიდრე და ეს ძალიან მახარებს.

— საფეხბურთო ამბებზე ადრეც გვისაუბრია და მომავალშიც ვისაუბრებთ. მოდი, ახლა სხვაც ვთქვათ. კარლსრუეში ცხოვრობ?

— ქალაქგარეთ. 10 წუთის გზაზე, წყნარ ადგილას შევარჩიე საცხოვრებელი, ბავშვებისთვის იქ უკეთესია. მყუდრო გარემოა.

— ფრაიბურგში დაახლოებით ათი წელი გაატარე. იქაურობას აღარ სტუმრობ?

— როგორ არა... ამ სეზონში „ფრაიბურგის" რამდენიმე საშინაო მატჩსაც დავესწარი. ფრაიბურგში ბევრი მეგობარი მყავს და მსიამოვნებს მათთან შეხვედრა.

— ფეხბურთიდან თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— სხვათა შორის, „კარლსრუე" ძალიან შეკრული და მეგობრული გუნდია, ხშირად ერთად ვართ, ერთად ვახშმობთ, ვთამაშობთ ბოულინგსა და ბილიარდს, ექსკურსიაზე დავდივართ ბადენ-ბადენში, რომელიც კარლსრუესთან ახლოსაა და უმშვენიერესი დასასვენებელი ალაგია. ვცდილობ, მაქსიმალურად დიდი დრო გავატარო ოჯახთან ერთად, ვეთამაშები ბავშვებს, ვუყურებ ტელევიზორს, მეუღლესთან ერთად დავდივარ კინოში.

— შენი საყვარელი კერძი რომელია?

— რაიმე ამორჩეებული არ მაქვს. ვერიდები სწრაფი კვების ობიექტებს და უფრო ხშირად მაკარონს, თევზს, ბრინჯსა და სალათებს მივირთმევ. საერთოდ, ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვების სწორი რეჟიმი და ვცდილობ, ეს არ დავარღვიო.

— ევროპის ჩემპიონატზე ალბათ გერმანიას ქომაგობ...

— ცხადია, მომწონს გერმანული ფეხბურთი და ევროპის ჩემპიონატზეც ამ ქვეყნის ნაკრებს ვქომაგობ, თუმცა ესპანეთის წარმატებაც გამახარებს. ესპანეთს ყოველთვის მაგარი ნაკრები ჰყავს, მაგრამ არაფერი გამოსდის ხოლმე. იქნებ ეს ნავსი ახლა მაინც გეტეხოს.

— რომელ ფეხბურთელს ქომაგობ?

— ახლა არ მყავს გამორჩეული ფეხბურთელი, ადრე კი რომარიოსა და რონალდოს ფეხბურთით ვტკბებოდი.

— ისეთი ფეხბურთელი თუ არის ვინმე, ვის წინააღმდეგ და ერთად თამაში გსურს და ამის საშუალება ჯერ არ გაქვს?

— სურვილზე რა გითხრათ, თუმცა კი, როცა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატს და გერმანიის ნაკრებს ვუყურებდი, როგორ წარმოვიდგენდი, რომ მოგვიანებით მათე-





უსის, კოლერის, ჰესლერისა და სხვა ვარსკვლავების წინააღმდეგ მომიწევდა თამაში... მსურდა, რომ მარადონასთან ერთადაც ვყოფილიყავი მოედანზე, მაგრამ... ისე კი, მიქაელ ლაუდრუპის თამაშის ნახვაც ჩემთვის ერთი სიამოვნებაა.

— თილისმა თუ გაქვს?

— თილისმა არა, მაგრამ ყოველთვის თან ვატარებ ჯვარს, საქორწინო ბეჭედსა და საეკლესიო სამაჯურს.

— გოლების აღნიშვნის შენებურ რიტუალზე რას გვეტყვი?

— ჩემი გოლები ჩემს ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებსა და ჩემს ქვეყანას ეძღვნება. როცა გოლს გავიტან ხოლმე, სწორედ საქორწინო ბეჭედს ვკოცნი და სიხარულს ასე გამოვხატავ.

— არადა, ამ სეზონში ამის საშუალება არ გქონია...

— რა გაეწყობა, ასე გამოვიდა და ვეცდები, ეს დანაკლისი მომავალ სეზონში ავინაზღაურო. ისე, შეიძლებოდა, ერთი გოლის ავტორი ვყოფილიყავი, მაგრამ ის გოლი სხვას ჩაუთვალეს.

— მოდი, ერთი-ორი სიტყვა ეროვნულ გუნდზეც ვთქვათ. ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი „ფრაიბურგში“ შენი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე არის. რა იცი ახალი ამ საქმესთან დაკავშირებით?

— ჯერჯერობით ახალი არაფერია. ფინკეს კი აქვს ჩვენთან მუშაობის სურვილი, მაგრამ ბოლო სიტყვა ჯერ არ უთქვამს. დღესდღეობით ის ევროპის ჩემპიონატზე კომენტატორად მუშაობს.

— ფიქრობ, ფოლკერ ფინკეა ის მწვრთნელი, ვინც ნაკრებს სჭირდება?

— ვერაფერს გეტყვით... წინასწარ ძნელია ამის თქმა. ნაკრებში ახლა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და მათ რომ ვუყურებ, მომავლის მეიმედება. ძლიერი თაობა მოდის, მონდომებულები არიან და ფინკე იქნება ნაკრების მწვრთნელი თუ სხვა, ისინი თავიანთ სიტყვას აუცილებლად იტყვიან. მთავარია, მიმართულება არ დაკარგონ და სწორი გზით განვითარდნენ. ძალიან ნიჭიერები არიან. აგერ, მაგალითად, დავით თარგამაძე „ფრაიბურგის“ მეორე გუნდის ლიდერია, პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და როგორც მითხრეს, მალე ამ გუნდშიც ათამაშებენ. ლევან ყენიაც მომავალი ვარსკვლავია, მისი შემხედვარენი „შალკეში“ გაოცებულები არიან და უკვე მომავალ სეზონში, ალბათ, ბუნდესლიგაში ვიხილავთ. ამ ბიჭებს ისეთი ნიჭი აქვთ, ვალდებულები არიან, დიდი ფეხბურთი ითამაშონ.

— და ერთიც, ამას წინათ შოთა არველაძის გამოსამშვიდობებელ მატჩში ითამაშე...

— დასანანია, რომ ბოლო წლების საუკეთესო ქართველმა ფეხბურთელმა თამაში მიატოვა... ის ფაქტი კი, ასეთი მატჩი რომ მოეწყო, თავისთავად, ძალიან კარგია და სასურველია, მომავალშიც გაიმართოს. აქამდეც უნდა დამკვიდრებულიყო ცნობილი ქართველი ფეხბურთელების ამგვარი საზეიმო გაცილება, მაგრამ ახლა მაინც რომ მოეწყო გამოსამშვიდობებელი მატჩი, ესეც მისასალმებელია და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

**— კარგი, ამით მოვრჩეთ და კიდევ ერთხელ გილოცავთ...**

— გმადლობთ, მართლაც, უბედნიერესი კაცი ვარ! მეამაყება, რომ უკვე მეორედ დამასახელეთ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად და ეს პრიზი მივიღე. გმადლობთ!

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**



ბაჩო კორძაიას ფოტო





21 წლის შემტევი გიორგი მერებაშვილი ჭაბუკობიდან თბილისის „დინამოშია", წინა წლებშიც ერთ-ერთი გამორჩეული იყო გუნდში, თუმც გასული სეზონი უდავოდ საუკეთესო ჰქონდა. მერებაშვილის თამაშს იოლად გამოარჩევ: ის არაა ომახიანი და გუნდის „დამქოქავი" ფეხბურთელი, თუმც თავისი არასტანდარტული თამაშის მანერით და ორიგინალურობით, რაც მთავარია, სარგებლიანი და ჭკვიანური მოქმედებებით იპყრობს ყურადღებას. „მერება ნაკრებში!" — ასეთ პლაკატს ეროვნულ სტადიონზე ხშირად ნახავდით, „დინამოს" ფანებს ის ძალიან უყვართ და არა მარტო მათი აზრით, გიორგი ეროვნულ ნაკრებში თამაშს კარგა ხანია, იმსახურებს, თუმც მხოლოდ ახლახან, 31 მაისს ჰქონდა დებიუტი: პორტუგალიასთან შეცვლაზე შევიდა. „დინამოს" 17 ნომერმა დიდი უპირატესობით მოიგო „სარბიელის" გამოკითხვა — ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა...




გიორგი მერებაშვილი და „სარბიელის" მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია

# ნებისყოფა და ფიქრში გალეული დღეები

— პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდი „სარბიელს" ასეთი დაფასებისთვის. ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს. ჩემი უპირველესი მიზანი წლეულს „დინამოსთან" ერთად ჩემპიონობა იყო, ამას მივაღწიეთ და ორმაგად ბედნიერი ვარ, რომ საუკეთესო ფეხბურთელიც გავხდი.

**— მოკლედ, დუბლი შეასრულე, არადა, „ჰეთ თრიქიც" შეგეძლო — საუკეთესო ბომბარდირთა დავასაც ლიდერობდი...**

— ბევრი კონკურენტი მყავდა, თუმც ბომბარდირი რომ ვერ გავხდი, ამას თავისი მიზეზიც აქვს: ხელი დავიზიანე და ბოლო ტურებში ვერ ვითამაშე. სამაგიეროდ, ჩემი თანაგუნდელი მიხეილ ხუციშვილი გახდა ბომბარდირი და ძალიან გამიხარდა.

**— ბანალური კითხვაა, მაგრამ მაინც: შენ ვის დაასახელებდი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად?**

— ძნელი სათქმელია... ხუციშვილი ჩემპიონიც გახდა და ბომბარდირიც. კარგად ითამაშეს დიმიტრი ტატანაშვილმა, დავით ოდიკაძემ, ვიეირამ...

**— შენთვის საუკეთესო თამაში რომელი იყო?**

— საერთოდ, ყველა თამაშის მერე უკმაყოფილი ვარ. მსაჯი რომ ჩაუსტვენს და მატჩი დამთავრდება, ვგრძნობ, რომ რაღაც ვერ გამომივიდა, უკეთ შემეძლო თამაშიმეთქი.

**— ეს მაშინაც, როცა 5:0 ან 7:1 მოგიგიათ?**

— დიახ. ცუდია, რომ ასეთი მატჩები ხშირია. ხდება, ზოგჯერ თამაში წაუვა გუნდს და შეიძლება 7:0 მოიგო, მაგრამ უკეთესია, თუ ასეთი შეხვედრები ნაკლებად იქნება.

**— დიდად უხეში მატჩები საქართველოს ჩემპიონატში არ არის, მაგრამ მაინც ხშირად გხვდება ხოლმე ფეხებში. თუმც არ გვახსოვს, უხეშობაზე უხეშობით გეპასუხოს. მტკიცე ნერვები გაქვს?**

— ნებისყოფა მაქვს. არც უხეშობას და არც პროვოკაციას არ ავყვები. შემტევი ფეხბურთელი ვარ და მესმის, რომ ზოგჯერ უხეშად მომექცევიან, სხვა გზა არა აქვთ. მე კი ყოველთვის ვცდილობ, მეტოქეს ტრავმა განზრახ არ მივაყენო. მეჯავრება ასეთი რამე.

**— შენს ნაკლზე რას იტყვი, რა გაქვს გამოსასწორებელი ყველაზე მეტად?**

— ბავშვობიდან სისწრაფეში მოვიკოჭლებდი. ევროპაში სულ სხვა ტემპია და ამიტომ მინდა, ამ ნაკლზე მაგრად ვიმუშაო, თორემ გამიჭირდება.

**— ცნობილი უცხოელი ფეხბურთელებიდან ვის ამსგავსებ საკუთარ მანერას?**

— მაინცდამაინც არ მიფიქრია ამაზე. ზოგმა რაულსაც შემადარა, მაგრამ არავის ვბაძავ... ისე, კარგია, დიდ ვარსკვლავს რომ გადარებენ.

**— როგორ ფიქრობ, რასაც აქამდე მიაღწიე, უფრო შრომის ხარჯზე თუ თვითნაბადი ნიჭის?**

— ქართველებს ფეხბურთის თამაშის ნიჭი გვაქვს. ალბათ, მეც ასე ვარ, მაგრამ რაც უნდა ნიჭიერი იყო, შრომის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. ბევრი რამ გვერდზე უნდა გადადო, ცდუნებას უნდა გაუძლო და ოფლი უნდა დაღვარო.

**— ესე იგი, ზარმაცი არ ხარ?**

— დილაადრიან ადგომა და ვარჯიში სულაც არაა სახალისო, მაგრამ ნებისყოფა მაქვს. თუ არ ვივარჯიშე, ჩამოვრჩები, რაც ყველაზე კარგად მესმის.

**— „დინამომ" საქართველოს ჩემპიონობა დაიბრუნა. უმთავრესად რის ხარჯზე?**

— რაც „დინამოში" ვარ, ყველაზე შეკრული გუნდი გასულ სეზონში გვყავდა. ამას დაუმატეთ მწვრთნელის ფაქტორი...

**— გული დაგწყდა, დუშან უპრინი რომ წავიდა „დინამოდან"?**

— რა თქმა უნდა, ადამიანებთან განშორება არ მიყვარს. ერთად ვიყავით, შევეჩვიე უპრინს...

**— უპრინს მოკლედ როგორ დაახასიათებდი: მის სამუშაო სპეციფიკაში რა იყო გამორჩეული?**

— საერთოდ, მწვრთნელისთვის ყველაზე კარგი თვისება გუნდთან ერთად ყოფნის სურვილია. უპრინს ეს ჰქონდა. ბოლომდე იხარჯებოდა, ყველას გასაგებად გადმოგვცემდა, რა უნდოდა.

**— რომელი იყო „დინამოსთვის" გადამწყვეტი მატჩი? ის, რომლის შემდეგაც იგრძენით, რომ ჩემპიონობა ახლოს იყო...**

— „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშამდეც მეგონა, რომ ჩემპიონობა ახლოს იყო, თუმც ამ ფრის შემდეგ უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა. ყველანი ვგრძნობდით, რომ შანსს ხელიდან აღარ გავუშვებდით. მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონში სათამაშო გვქონდა.

**— ჩემპიონობა კარგია, მაგრამ შეძლებს „დინამო", ევროთასზე შარშანდელი სირცხვილი არ გაიმეოროს?**

— ამის იმედი ნამდვილად მაქვს. „დინამო" ახლა უფრო ჩამოყალიბებული გუნდია, უკეთ ვართ შეწყობილები.

**— როგორც ვიცი, უცხოურ კლუბში გადასვლას აპირებ — რაღაც ვარიანტები გაქვს...**

— მხოლოდ პრესიდან ვიცი, რომ უცხოეთიდან დაინტერესებულნი არიან ჩემით. პირადად ჩემთან არც „დინამოს" ხელმძღვანელობას ულაპარაკია ამაზე და არც უცხოეთიდან შემხმიანებია ვინმე. თითქმის გადაწყვეტილია,, რომ შეკრებაზე „დინამოს" წავყვები.

**— როდის გეწყებათ შეკრება?**

— 10 ივნისს სამედიცინო შემოწმებააა. 11-ში ვარჯიშს ვიწყებთ, 28 ივნისს მოსკოვში გვაქვს თამაში — მოსკოვის „დინამოს" იუბილეა, სადაც ჩვენ, კიევის და მინსკის „დინამო" ვიქნებით. ტურნირი არ არის — მოსკოვის „დინამო" ხვდება სამივე „დინამოს" , იქიდან კი პირდაპირ გერმანიაში გავფრინდებით შეკრებაზე.

**— სანაკრებო ამბებზეც ვთქვათ: სულ ახლახან დებიუტი გქონდა...**

— ესტონეთის მატჩში განაცხადშიც არ ვიყავი. ისე, რას ჰგავდა



მინდორი, მეგონა, საქართველოს ჩემპიონატის თამაში იყო. მარტო მინდორს ვერ დავაბრალებ, რომ ვერ მოვიგეთ, თუმც წინა მატჩებთან შედარებით ნაკრებმა უკეთ ითამაშა. პორტუგალიასთან კი ყველას ერთი სული გვქონდა, როდის დაიწყებოდა მატჩი — რაღაც სხვა გრძნობა იყო, დიდი გამოცდილება მივიღეთ და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალში გამოგვადგება.

**— პორტუგალიასთან ნერვიულობის მომენტი არ გქონია?**

— ყველა ფეხბურთელს სხვადასხვა განწყობა აქვს, პირადად მე კი დაძაბული არ ვყოფილვარ. იცით, რა გრძნობა მქონდა? მინდოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო თამაში. გული დამწყდა, რომ დამთავრდა.

**— ყველაზე მეტად რომელმა პორტუგალიელმა მოახდინა შენზე შთაბეჭდილება?**

— კრიშტიანუ რონალდუსგან უკეთეს თამაშს ველოდი, თუმც ეტყობა, ევროპის ჩემპიონატი რომ ახლოვდებოდა, ცოტა ფრთხილობდა. ყველანი მაღალი კლასის ფეხბურთელები იყვნენ. დეკუ კი ყველაზე მაგარი იყო...

**— ვისაც ამ მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ, ყველამ დეკუ გამოარჩია...**

— მართლაც დიდებულად ითამაშა. ერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებდა.

**— ესტონეთ-პორტუგალიასთან ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობას შენი თაობა და უფრო უმცროსები წარმოადგენდნენ. რეალურად, ქართველ გულშემატკივრებს თქვენი თაობის იმედი უნდა ჰქონდეს?**

— აუცილებლად. გამოცდილება ნელ-ნელა მოვა და გულშემატკივრებს არ გავაწბილებთ. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრებს გაცილებით უკეთესი შედეგები ექნება.

**— რა უყვარს ფეხბურთის გარდა გიორგი მერებაშვილს და რით ერთობა თავისუფალ დროს?**

— კარგია თავისუფალი დრო, მაგრამ სადაა... კვირაში ერთი დღე მაქვს დასვენება და მაქსიმალურად მინდა, გამოვიყენო. რა გავაკეთო, სად წავიდე, ვინ ვნახო — ზოგჯერ ფიქრში გადის მთელი დღე. ნათესავ-მეგობრები მსაყვედურობენ კიდეც, ერთხელ არ უნდა, გამოგვიაროო? თუმც ესმით, რომ ძალიან დაკავებული ვარ. ფეხბურთის გარდა, რა გითხრათ, მიყვარს მუსიკა, ბუნებაში გასეირნება, უფრო მდინარე ან მთა... სიმწვანე მიყვარს...

**— წიგნის კითხვა?**

— რაიმე საინტერესო წიგნი თუ ჩამივარდება ხელში, ვკითხულობ. სპორტსმენების ავტობიოგრაფიები მაინტერესებს. ასევე გეოგრაფიული წიგნები...

**— სპორტულ პრესას ხშირად კითხულობ?**

— რა თქმა უნდა.

**— სკოლაში როგორ სწავლობდი?**

— მეშვიდე კლასამდე ხუთიანებზე, მერე უკვე ფეხბურთმა გადამძალა... არჩევანი უნდა გამეკეთებინა — ან სწავლა, ან ფეხბურთი. ოჯახში არავის დაუშლია, ფეხბურთისკენ წავსულიყავი, მით უმეტეს, სპორტული ოჯახიდან ვარ — მამა მოჭიდავე იყო.

**— ოჯახის სხვა წევრებზეც გვითხარი...**

— დედა დიასახლისია. მყავს 10 წლის და, სალომე, მომღერალია. ახლახან სოლოკონცერტი ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს აფხაზეთის ნაკრებთან გვქონდა თამაში და ვერ დავესწარი. გული დამწყდა...

**— შენ თუ გაქვს სიმღერის ნიჭი?**

— სამწუხაროდ, არა. მუსიკას კი ვუსმენ. უფრო კლასიკა მიყვარს. როცა მარტო ვარ, ძალიან მსიამოვნებს.

**— შეყვარებული არ ხარ?**

— არა.

**— სპორტში იდეალი თუ გყავს?**

— იდეალი არა, მაგრამ ძალიან მომწონს კრიშტიანუ რონალდუ, ლეო მესი... ყველაზე მეტად კი რონალდინიო — მართალია, ჩავარდნა აქვს, მაგრამ მგონია, კიდევ იტყვის თავისას.

**— ევროპის ჩემპიონატზე ვის ქომაგობ?**

— ტექნიკური ფეხბურთი მიყვარს და მინდა, ესპანეთმა ან პორტუგალიამ მოიგოს ჩემპიონატი. საერთოდ კი, ბრაზილიას ვგულშემატკივრობ.

**— ისე, მსაჯობაც გეხერხება თურმე. ამასწინათ „დინამოს" დილმის ბაზაზე გიმსაჯია...**

— „დინამო" ფანებს შეხვდა, მე ტრავმა მქონდა და მთავარ მსაჯად დამნიშნეს.

**— პრეტენზიები არ ჰქონიათ გუნდებს?**

— ჰქონდათ, მაგრამ ყვითელი ბარათების მეტი რა მიიღეს... მკაცრი მსაჯი ვიყავი.

**ილია ნანობაშვილი**

ქვარციტი QUARTZITE
ლიბმ
ურმავი ქონება

BTA Silk Road Bank
საქართველოს 7-კაცა ნაკრების გენერალური სპონსორი

# ქართული ფარი უელსმა აიფარა

ცნობილი ქართული ფილმი „პირველი მერცხალი" ხომ გინახავთ? ჯერ ცოლიანები და უცოლოები რომ თამაშობენ ერთმანეთში, მერე სოფელი სოფელზე, მერე თურქ მეზღვაურეებს ეთამაშებიან ფოთელები, ბოლოს კი ინგლისელ მეზღვაურეებთან განადგურდებიან და გაშლილ ზღვაში შესული გემიდან მოღწეულ ბრიტანულ ჰიმნს თავიანთ კრიმანჭულს დააწევენ.

ვერ გეტყვით, რა დააწიეს უელსელებს ქართველებმა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და თბილისის შვიდკაცას ახალი გამარჯვებული გამოუჩნდა. აქამდე გამართული ხუთი ეტაპიდან სამი ქართველებმა მოიგეს, ბოლო ორი — ფრანგებმა, ახლა კი გამარჯვებულის სარგო ფარი უელსელებმა წაიღეს, რომლებიც პირველად გვესტუმრნენ და, „პირველი მარცხლებისა" არ იყოს, ჩვენებს, რასაც ჰქვია, მასტერ-კლასი ჩაუტარეს.

აქვე ვთქვათ, რომ ფრანგების, იტალიელებისა და რუმინელების არყოფნაში უელსელები ჩვენების ძირითადი მეტოქეები და ტურნირის მთავარი ფავორიტები იყვნენ. იყვნენ და თავიანთი საქმე გააკეთეს კიდეც.

უელსის ნაკრები ჯგუფში საქართველოსთან ერთად მოხვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მინიმუმ ფინალამდე ასცდებოდა ჩვენებს თუ ცხრილში ქართველები პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებდნენ.

პირველი ადგილის დაკავების შანსი კი ჩვენებმა მაშინ დაკარგეს, როდესაც უსახელო კვიპროსთან წააგეს, რომელიც რაგბის საერთაშორისო საბჭოს წევრიც კი არ არის. სხვათა შორის, კვიპროსის რაგბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, რომ იქაურ ჩემპიონატში სულ სამი კლუბი თამაშობს და ჯამში 123 რეგისტრირებული მორაგბე ჰყავთ.

კვიპროსელთა მერე კი უელსელების ჯერი დადგა. ყველაზე მშვიდობიანმა ბრიტანელებმა 14-წუთიან მატჩში ჩვენებს 13 წუთით დაუმალეს ბურთი, ერთ-ერთი შეტევისას კი 27-პასიანი კომბინაციით თავბრუ დაახვიეს ქართველებს, რომლებმაც ბოჭვა კი არა, კონტაქტიც კი ვერ „აკადრეს" სტუმრებს.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების ჯგუფიდან გასვლა მართლაც რომ-სამკითხაო იყო და იღბალიც აღმოაჩნდათ კახა ალანიას შეგირდებს. უელსის შემდეგ ორი მოგება და წაგება ჩვენებს, კვიპროსსა და ისრაელს დაუგროვდათ, მაგრამ ტურნირის დებულებით ბურთების უკეთესი სხვაობით ნახევარფინალში საქართველო გავიდა. კიდევ კარგი, დებულებით, ურთიერთშეხვედრები კი არა, ბურთების სხვაობის უპირატესობა ითვლებოდა.

ნახევარფინალში ქართველებმა ტურნირის აშკარად ყველაზე სიმპათიურ გუნდთან, უკრაინასთან ულაპარაკოდ წააგეს. სხვათა შორის, უკრაინის ნაკრებში სამი ქართველი თამაშობდა — გიორგი გეგიძემ, გიორგი თოდრაძემ და ჯაბა მალალურაძემ სამი წლის წინ მიიღეს ორმაგი მოქალაქეობა — იქაურ „ოდესაში" რაგბობით უკვე მეორე წელია, თბილისის შვიდკაცა ტურნირზე უკრაინის ნაკრებში რაგბობენ.

მესამე ადგილისთვის მატჩი ქართულმა შვიდკაცამ მოლდოველებთან პირველივე წუთებზე გაშვებული ლელოთი დაიწყეს. ჩვენები თითქოს არადამაჯერებლად რაგბობდნენ, მაგრამ ირაკლი აბუსერიძის თამაშმა ქართველებს მესამე ადგილი მოუტანა — მან ზედიზედ სამი ეფექტური ლელო გაიტანა. მატჩის დასასრულს ეროვნული ნაკრების კაპიტანს მერაბ კვირიკაშვილმაც აუბა მხარი — მისი ლამაზი გარღვევა ლელოთი დასრულდა.

უელსელებმა კი ფინალში ნამდვილი სარაგბო გაკვეთილი ჩაუტარეს უკრაინელებს. ბრიტანელებმა ლალი და კომბინაციური თამაშით რვა ლელო გაუტანეს მეტოქეს. საპასუხოდ სლავებმა შეხვედრის მიწურულს უკვე ჟინდაკარგულ უელსელებს კინკილა ლელო „გამოსტყუეს". აღსანიშნავია, რომ უელსელთა სათამაშო კლასი ამ ტურნირზე ყველა დანარჩენ გუნდთან, შედარებით კოლოსალურად მაღალი იყო. წითლებმა „თბილისის ფარი" დამსახურებულად წაიღეს შინ.

და კიდევ, მე-3 ადგილის დაკავებით საქართველომ 14 სარეიტინგო ქულა მოიპოვა და ამას დამატებული სოპოტური ათ ქულით ევრორეიტინგში მე-9 საფეხურზეა. ამ ადგილით საქართველოს ნაკრებს შანსი აქვს, ჰანოვერის 12-გუნდა ფინალურ ეტაპზე ითამაშოს, თუმც იქამდე სამი ეტაპია დარჩენილი და საკითხავია, რას იზამენ მდევრები.

ჰანოვერის შვიდკაცას ხუთი საუკეთესო ნაკრები კი გაისად, დუბაიში მსოფლიოს თასზე ითამაშებს.

**ბაჩო სვანიძე**
**ზურაბ მიგრიაული**

**A ჯგუფი:** მოლდოვა, უკრაინა, ლატვია, საბერძნეთი, აზერბაიჯანი

**B ჯგუფი:** უელსი, საქართველო, ისრაელი, ბულგარეთი, კვიპროსი

**შაბათი**

**მოლდოვა 35:17 აზერბაიჯანი**
**უელსი 36:7 კვიპროსი**
**უკრაინა 47:0 ლატვია**
**საქართველო 29:5 ისრაელი**
საქართველო: 5ლ: ნიჟარაძე (2), აბუსერიძე, გ. კაჭარავა, გუგავა; 2 გ: კვირიკაშვილი
**მოლდოვა 36:5 საბერძნეთი**
**უელსი 50:0 ბულგარეთი**
**უკრაინა 42:7 აზერბაიჯანი**
**საქართველო 12:14 კვიპროსი**
საქართველო: 2 ლ: აბუსერიძე, აბულაძიანი, 1 გ: კვირიკაშვილი
**ლატვია 10:7 საბერძნეთი**
**ისრაელი 31:14 ბულგარეთი**
**მოლდოვა 7:10 უკრაინა**
**უელსი 22:0 საქართველო**
**ლატვია 17:7 აზერბაიჯანი**
**ისრაელი 12:10 კვიპროსი**
**უკრაინა 36:0 საბერძნეთი**
**საქართველო 42:10 ბულგარეთი**
საქართველო: 6 ლ: გოგეშვილი (2), კვირიკაშვილი (2), გენებაშვილი, კობერიძე; 6 გ: კვირიკაშვილი

**კვირა**

**მოლდოვა 24:0 ლატვია**
**უელსი 26:0 ისრაელი**
**საბერძნეთი 36:5 აზერბაიჯანი**
**ბულგარეთი 7:17 კვიპროსი**

**A ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 4 | 0 | 0 | +121 | 8 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | +70 | 6 |
| ლატვია | 2 | 0 | 2 | -58 | 4 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 3 | -39 | 2 |
| აზერბაიჯანი | 0 | 0 | 4 | -94 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 4 | 0 | 0 | +127 | 8 |
| საქართველო | 2 | 0 | 2 | +32 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 2 | -19 | 4 |
| ისრაელი | 2 | 0 | 2 | -31 | 4 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 4 | -109 | 0 |

**მე-5-8 ადგილებისთვის**
**ლატვია 10:5 ისრაელი**
**საბერძნეთი 19:5 კვიპროსი**

**ნახევარფინალი**
**საქართველო 0:14 უკრაინა**
**უელსი 2&5 მოლდოვა**

**მე-9 ადგილისთვის**
**ბულგარეთი 29:21 აზერბაიჯანი**

**მე-7 ადგილისთვის**
**კვიპროსი 12:7 ისრაელი**

**მე-5 ადგილისთვის**
**ლატვია 25:12 საბერძნეთი**

**მე-3 ადგილისთვის**
**საქართველო 24:7 მოლდოვა**

**ფინალი**
**უელსი 45:5 უკრაინა**

უელსის ნაკრებმა ალალად დაიმსახურა თბილისური ფარი





CELTICS LAKERS

## სერია მეექვსე. 1968
## ბოსტონი 4:2 ლეიკერსი



ჯერი ვესტის „ლეიკერსმა" ვერც ამჯერად დაამარცხა „სელტიქსი"

# არ მომკვდარა, ჩაექინა

**მჯობნის** მჯობნიც გამოჩნდა. ზედიზედ რვა ტიტულის მომგები ბოსტონური დინასტიაც დაემხო და ეს მოხდა 1967 წელს, როცა ბილ რასელმა და მისმა გუნდმა უილტ ჩემბერლენის „ფილადელფიასთან" აღმოსავლეთშივე წააგო და ბოლო ცხრა წელიწადში ფინალმა პირველად ჩაიარა „სელტიქსის" გარეშე. მაგრამ „ფილადელფიასაც" მივაგოთ პატივი, გუნდს, რომელიც გამუდმებით მარცხდებოდა „ბოსტონითან", მაგრამ 1967 წელს არნახულად გაძლიერებული იყო, „ბოსტონი" კი — დასუსტებული, რადგან რედ აუერბახი მწვრთნელობიდან გენერალურ მენეჯერად გრდაისახა, ხოლო გუნდი ბილ რასელს ჩააბარა. სხვათა შორის, რასელი იყო პირველი აფრო-ამერიკელი, ანუ ზანგი მწვრთნელი ნბაში. მან თამაშიც გააგრძელა და, პარალელურად გუნდის გაძღოლა ითავა და... „ფილადელფიასთან" დამარცხდა 1967 წელს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა ჩემბერლენმა რასელს საპლეიოფო სერია მოუგო.

„ბოსტონს" და მის მოთამაშე-მწვრთნელს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ, მომავალ წელსვე იძიეს შური. ოღონდ, მოლოდინის ერთი წელი ძალზე გრძელი გამოდგა. „კელტებს" ყველა ქალაქში მტრულად ხვდებოდნენ, რადგან ეს გუნდი დიდი ხანი თავზე აჯდა საკალათბურთო ამერიკას, ხოლო რომ დამარცხდა, მას შემდეგ კიდევ უფრო ხმამაღლა აუყვირდნენ.

„განსაკუთრებით ფილადელფიაში ვძულდით, ამას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით და ვისმენდით — იხსენებს ჯონ ჰავლიჩეკი — აეროპორტიდან იწყებოდა შეძახილი „ბოსტონი" მოკვდა!" ქუჩაში ტაქსისტებიც ამას მოგვძახოდნენ და თამაშის დროს ტრიბუნები ხომ მთლად თავზე დაგვყვიროდნენ. მაგრამ, იცით, ეს ჩვენთვის დამატებით მოტივაციად იქცა."

„მგონი, ხალხმა დაივიწყა, რა ჯიუტ ვინმესთან აქვთ საქმე — თქვა აუერბახმა ერთ ინტერვიუში — რასელი ასე იოლად არ დანებდება."

აუერბახმა კი მართლა კარგად იცოდა, რისი შნო ჰქონდათ მის მიერ ცალ-ცალკე აყვანილ და ერთ გუნდში გამარჯვების წყურვილით გაერთიანებულ ბიჭებს. 1968 წლის აღმოსავლეთის ფინალში ისინი 1:3 ჩამორჩნენ „ფილადელფიას" და სერია რომ წაეგოთ, ახლა უკვე მართლა დაღუპავდნენ გუნდს, მაგრამ ზედიზედ სამი თამაში მოიგეს და 216-სანტიმეტრიანი ჩემბერლენი რასელმა ისევ ერთ ადგილას დასვა, ფინალში კი თავად დაბრუნდა, რათა დროებით დათმობილი ტახტი დაებრუნებინა.

და როგორ გგონიათ, 1968 წელს დასავლეთიდან ვინ გავიდა ფინალში? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ „ლეიკერსი". სიჯიუტე არც ამ გუნდს აკლდა. ჯერი ვესტის და ელჯინ ბეილორის დუეტი დასავლეთში საუკეთესო იყო, მაგრამ მხოლოდ დასავლეთში, რაც აგერ ახლა უკვე მეექვსედ გამოჩნდა ბოლო ათ წელიწადში.

ბრძოლა და დრამატიზმი არ აკლდა არც „სელტიქს" — „ლეიკერსის" რიგით მეექვსე ფინალს, მაგრამ აქაც პირველიდან ბოლო შეხვედრამდე იგრძნობოდა იმ ეპოქის საუკეთესო გუნდის უპირატესობა. პირველად „ბოსტონმა" მოიგო, „ლეიკერსმა" გაათანაბრა, მერე ისევ „ბოსტონი" დაწინაურდა, „ლეიკერსმა" ისევ გაათანაბრა, ისევ დაწინაურდა „ბოსტონი"... „ლეიკერსმა" კი ველარ გაათანაბრა და მეექვსე თამაშის დათმობით 2:4 წააგო სერია.

ჯერი ვესტმა, რომელიც სერიაში საშუალოდ 30 ქულაზე მეტს აგროვებდა, რასელზე თქვა — „ის არანორმალურად მტკიცე კაცია, არასოდესაა დამარწხებული. მაშინაც კი, როცა თამაში წაგებული აქვს, ბოლომდე იბრძვის და თავის ირგვლივ ყველა ასეთად აქცია. ჩვენ მათ „ვაჩუქეთ" პირველი და მეხუთე თამაშები, რომლებიც ყველა ლოგიკით უნდა მოგვეგო. არ იფიქროთ, თავს ვიმართლებდე, უბრალოდ, მინდა დაგანახოთ, როგორი გუნდი ჰყავს რასელს."

**ირაკლი ფირაშვილი**

# ეროვნული ეროვნულზე

**6-7 ივნისს** ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა მძლეოსნობაში. რიგით მერვე ეროვნულ ჩემპიონატში საქართველოს 21 რეგიონის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრებაზე რეგიონების წარმომადგენლები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველი ჯგუფი თბილისმა, აჭარამ, ქუთაისმა, ფოთმა, ზუგდიდმა, ახალციხემ, ბორჯომმა და გარდაბანმა შეადგინეს, ხოლო მეორე ჯგუფში ოზურგეთი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, ლაგოდეხი, მარტვილი, აბაშა, ახმეტა, ვანი, თელავი, გორი, წყალტუბო, ჭიათურა და ასპინძა მოხვდნენ.

გუნდურ ჩათვლაში I ჯგუფში პირველი ადგილი თბილისმა დაიკავა 584 ქულით, მეორეზე ახალციხე გავიდა 315-ით, ხოლო მესამე ქუთაისელებმა აიღეს 296,5-ით. II ჯგუფში მარტვილმა იპირველა 120 ქულით, მეორე ოზურგეთი იყო 90-ით, მესამეს კი ჭიათურა დასჯერდა 86,5 ქულით.

ჩემპიონატზე შვიდი ოლიმპიური ჩემპიონისა და პრიზიორის სახელობის პრიზი გათამაშდა. ვიქტორ სანეევის სახელობის ჯილდო სიგრძეზე ხტომაში გიორგი სხირტლაძეს გადაეცა, რობერტ შავლაყაძის პრიზი 100 მეტრზე სირბილში დავით ცუცქირიძემ მიიღო. 200 მეტრზე სირბილში ლევან სანაძის პრიზს ენდრიკ ზილბერშტეინი დაეუფლა.

ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძის სახელობის პრიზი სალომე რიგიშვილს გადასცეს. ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინასა და საიდა გუმბას ჯილდო 200 მეტრზე სირბილში ოლისია ბონდარენკოს ერგო. მაია აზარაშვილის სახელობის პრიზი კი 100 მეტრზე თარჯრბენში მაიკო გოგოლაძემ წაიღო.

ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორები საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მაია აზარაშვილმა შესაბამისი ხარისხის მედლებით დააჯილდოვა.

**ზურაბ მიგრიაული**



სამხტომში გამარჯვებული ქრისტინე შალამბერიძე

**ქალები**

100მ: ოლისია ბონდარენკო (თბილისი), 12,9
100მ/თ: მაიკო გოგოლაძე (თბილისი) 15,3
400მ: აიდა ტოროსიანი (თბილისი) 59,3
1500მ: ნათია გელაშვილი (ბორჯომი) 4.56,4
5000მ: გიული დეკანაძე (ვანი) 18.26,8
**ბირთვის კვრა:** სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 13,35
**სამმაგი ხტომა:** ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი) 11,95
**ამანათრბენი 4X100:** თბილისის ნაკრები 51,3
200მ: ოლისია ბონდარენკო (თბილისი) 1.26,1
400მ/თ: თეა ფაცურია (ფოთი) 1.07,1
800მ: გაიანე უსტიანი (ახალციხე) 2.18,8
3000მ: გიული დეკანაძე (ვანი) 10.18,8
**შუბის ტყორცნა:** ქეთევან ჩაგანავა (ფოთი) 36,18
**სიგრძეზე ხტომა:** მაიკო გოგოლაძე (თბილისი) 5.29
**ბადროს ტყორცნა:** სალომე რიგიშვილი (თბილისი) 48,20
**ამანათრბენი 4X400:** ბორჯომის ნაკრები 4.28,9

**კაცები**

100მ: დათო ცუცქირიძე (თბილისი) 10,5
110მ/თ: ნიკა ბატანაგოვი (ქუთაისი) 16,5
400მ: ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 48,1
5000მ: ჯეირან ხოფერია (ფოთი) 15.56,6
**უროს ტყორცნა:** ლერი ჩიტაიშვილი (თბილისი) 65,97
**ბირთვის კვრა:** ზურაბ გიგია (ზუგდიდი) 17,37
**სამმაგი ხტომა:** ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი) 15.21
**სიმაღლეზე ხტომა:** ზურა გოგოჭური (გარდაბანი) 1.95
**ამანათრბენი 4X100:** თბილისის I გუნდი, 43,4
200მ: ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 21,5
400მ/თ: გიორგი ანთელიძე (თბილისი) 55,0
800მ: თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი) 1.52,2
3000მ: ჯეირან ხოფერია (ფოთი) 9.02,5
**შუბის ტყორცნა:** როსტომ ჯინჭარაული (დუშეთი) 61,20
**სიგრძეზე ხტომა:** ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი) 7.56
**ბადროს ტყორცნა:** გიორგი ბედოშვილი (თბილისი) 49,53
**ამანათრბენი 4X400:** ახალციხე — 3.30,9

GOLDEN LEAGUE IAAF

## ოქროს ლიგა. მეორე ეტაპი. ოსლო. 6 ივნისი

# დიბაბას ბაბაც ერგო და რეკორდიც

ტირუნეშ დიბაბა გამუდმებით იმას გაიძახოდა, ძალიან სწრაფად სირბილი შემიძლიაო და 14 წუთი და 11,15 წამი 5 კილომეტრზე მართლაც ძალიან სწრაფ სირბილს ნიშნავს.

ეთიოპიელმა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა 10 კილომეტრზე სირბილში, დაამყარა ახალი რეკორდი, ოღონდ 5 კილომეტრზე. ოქროს ლიგის მეორე ეტაპზე, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მან 5,48 წამით გააუმჯობესა თამამემამულის და თავისი შეფარული მეტოქის (აბა პირადად ერთმანეთთან შეხვედრას გაურბიან) მესერეტ დეფარის შარშანდელი რეკორდი.

დიბაბამ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გამოთქვა ამ რეკორდის დამხობის სურვილი. ვწერდით კიდეც, რომ დარწმუნებულიც იყო, დეფარის სუპერშედეგს ჩემი უფრო სუპერი გადაფარავსო და აგერ, ბატონო, რაც დაიბარა, კიდეც აღასრულა.

ისე კი, მან მადლობა უნდა უთხრას ოსლოს იდეალურ სტადიონს (სარბენ საფარს) და გრილ, ნორვეგიულ ზაფხულისპირა ამინდს. რაღა სასხვათაშორისოდ სათქმელია, რომ შარშან დეფარმაც იქვე მოირეწა რეკორდი და საზოგადოდ ოსლოში, „ბიშლეტის“ ლეგენდარულ სტადიონზე ათეულობით რეკორდი დამყარებულა. ახლაც ყველამ იცოდა, რომ დიბაბა რეკორდზე გაიწევდა, მით უფრო, რომ სამძლეოსნო რუბრიკა ამისთვის წინდაწინაც კი შეამზადა.

დიბაბამ ძალზე გონივრულად წარმართა რბენა. დისტანციის ნახევარზე მეტხანს ის ჩრდილში იყო, ჯერ რუსი „კურდღელი“ ანა ალმინოვა ალიდერა, ექვსი წრის შემდეგ კი, როცა ის მოიღალა, და ჩამორჩა, ტირუნეშმა საკუთარი დაიკო ეჯენგაუეჰუ გაუშვა წინ, თავად კი უკან ჩაუჯდა.

მაგრამ მომავალი რეკორდსმენი სამი კილომეტრის გარბენის შემდეგ მიხვდა, რომ გამცილებლები ტემპს კი უქმნიდნენ, მაგრამ ცოტათი აფერხებდნენ კიდეც, რაკი ის 3 წამით ჩამორჩებოდა სარეკორდო გრაფიკს. ჰოდა, დიბაბაც ერთბაშად, ბუჩქებში ლომშენიშნული ქურციკივით მოსწყდა გუნდს და ისეთი სისწრაფით და ისე თავდაუზოგავად გაიჭრა, თითქოს წინ კიდევ 2-კილომეტრიანი გზა კი არა, 200 მეტრი დარჩენილიყო. მაგარი და ნედლი ტყავივით გამძლე რომ არის, კიდეც დაამტკიცა, როცა ერთბაშად ხუთ-ნახევარი წამი მოაკლო ძველ რეკორდს.

„წინ მარტო გაჭრამდე ჩემმა დამ გადმომილაპარაკა, დრო დადგა და ახლა უნდა აჩვენო ყველას, რომ საუკეთესო ხარო. რეკორდზე ვოცნებობდი, მაგრამ ასეთ შთამბეჭდავს არ ველოდი. დღეს ღმერთი დამეხმარა რაღაც განსაკუთრებულის გაკეთებაში“ — ამბობდა რეკორდსმენი.

ოსლოში სხვაც ბევრი საინტერესო მოხდა. ყურადღება მიიქციეს 800 მეტრის გარბენმა ქალებშიც და კაცებშიც. ისევ მოიგო ახალგაზრდა კენიელმა გოგონამ, ოქროს ლიგის პირველი ბერლინული ეტაპის მომგებმა პამელა ჯელიმომ, ვინც იმ იშვიათთაგანია, ვისაც წლეულს ლიგის მილიონიან ჯეკპოტთან შეთამეშების შანსი შერჩა. კაცებში კი იმარჯვა ჯელიმოს ტოლმა სუდანელმა, 18 წლის აბუბაკერ ვაკიმ, ვინც ორი წრე წუთსა და 42,69 წამში დაფარა და თუმც დიდების მსოფლიო რეკორდს ვერ შესწვდა, მაგრამ აი, ახალგაზრდულს კი მთელი წამი მოათალა.

შელახული რეპუტაცია აღიდგინა 400 მეტრის სუპერვარსკვლავმა ჯერემი უორინერმა, ვინც ერთი კვირის წინ ბერლინში მოულოდნელად წააგო თანამემამულე ლამონ მერიტთან, მაგრამ ახლა 43,98 წამში იმარჯვა და მერიტის სეზონის რეკორდი 0,05 წამითაც გააუმჯობესა.

მოიგო ბლანკა ვლასიჩმაც. ხორვატი სიმაღლეზე მხტომი გოგონა უკვე 26 ტურნირზე დაუმარცხებლად ხტის და 2,04 სანტიმეტრის დაძლევით ოსლოში სეზონის საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

**ვანო ძოძიაშვილი**




**მეორე ეტაპის გამარჯვებულები**

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 100 მ | დერიკ ეტკინსი (ბაჰამები) | 9,98 |
| 400 მ | ჯერემი უორინერი (აშშ) | 43,98 |
| 1500 მ | ენდრიუ ბედელი (ბრიტანეთი) | 3.49,38 |
| 400 მ თარჯრბენი | ბერშონ ჯექსონი (აშშ) | 48,15 |
| სიგრძეზე ხტომა | ჰუსეინ ელ-საბი (საუდეთი) | 8,19 |
| შუბის ტყორცნა | ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია) | 87,73 |
| **ქალები** | | |
| 200 მ | ბიანკა ნაითი (აშშ) | 22,56 |
| 800 მ | პამელა ჯელიმო (კენია) | 1.55,41 |
| 100 მ თარჯრბენი | ჯოზეფინ ონია (ესპანეთი) | 12,59 |
| სიმაღლეზე ხტომა | ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია) | 2,04 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო**

# ძველი მეფე, ახალი დედოფალი

**თუ ქალთა** ჩოგბურთს ახალი დედოფალი ჰყავს, კაცთა შორის „გრუნტის მეფე" იგივეა — და ისეთი პირი უჩანს, რომ რაფაელ ნადალისთვის ამ თიკუნის ართმევას კიდევ კარგა ხანს, არათუ ვერავინ შეძლებს, ვერავინ შებედავს.

რაც ოთხი წლის წინ ესპანელი ჯადოქარი „როლან გაროსის" კორტებზე გამოჩნდა, პარიზული სლემტურნირი მის პირად სამფლობელოდ იქცა. სენის ნაპირებზე მალიორკელის მჯობნი ჯერაც ვერ მოინახა — მეტიც, რაფა აქ წლიდან წლამდე სულ უფრო დამაჯერებლად აცამტვერებს მეტოქეებს.

მაგრამ ის, რაც ნადალმა წლეულს გააკეთა, ძნელია აღწერას დაექვემდებაროს — ამას მხოლოდ აბსოლუტური დომინაცია თუ დაერქმევა. ესპანელმა გასულ ორ კვირაში სასწაულები აკეთა და მეტოქეებს თიხნარზე თამაშის მასტერ-კლასი ჩაუტარა. მალიორკელმა ტურნირი სეტწაუგებლად გაწვლო, რაც მხოლოდ მეოთხედ მოხდა „როლან გაროსის" ისტორიაში. აქამდე ასეთივე რამ ილიე ნასტასესა (1973) და ორჯერ ბიორნ ბორგს (1978, 1980) გაეკეთებინათ.

მეტიც, ნადალმა გამართულ 7 მატჩში მხოლოდ და მხოლოდ 41 (!!!) გეიმი დათმო (აქედან 4 საკუთარ მოწოდებაზე), ანუ უკეთ რომ წარმოიდგინოთ, ესპანელი ტურნირზე სეტს საშუალოდ 6:2-ს იგებდა.

თუმც ამ ყველაფრის მწვერვალი გუშინდელი ფინალი იყო, რომელშიც მალიორკელმა თავის ძველ მეტოქესა და მსოფლიოს პირველ ჩოგან როჯერ ფედერერს გვარიანი ალიყური აჭამა, როცა სამ სეტში მიჩოგნა და მხოლოდ 4 გეიმი აალებინა. ეს ყველაზე ხანმოკლე ფინალი იყო 1977 წლის შემდეგ.

სლემტურნირებზე გამართული 173 მატჩიდან ალპელს ასე მწარედ არასდროს წაუგია. ბოლოს კი 6:0 ფედერერმა ბაირონ ბლეკთან შორეულ 1999 წელს, ქუინზში წააგო.

მატჩი თავიდანვე ნადალის გვარიანი უპირატესობით დაიწყო. თუმც ამაში მთავარი დამნაშავე თავად ფედერერი იყო, რომელიც აურაცხელი რაოდენობის შეცდომებს უშვებდა. ნადალმა მეტოქეს არც ერთი შეცდომა არ აპატია და ყველა სრულყოფილად გამოიყენა, რითაც ალპელს ალბათ კარიერის ყველაზე მგრძნობიარე მარცხი აგემა.

ფედერერმა მხოლოდ მეორე სეტის დასაწყისში შეძლო მეტ-ნაკლებად თამაშის გამოსწორება და ესპანელთან ტოლ-სწორად ჭიდილი, მაგრამ რაც მეშვიდე გეიმის მოგებით ნადალი დაწინაურდა, შვეიცარიელი საბოლოოდ წაიშალა. ამის შემდეგ კი ცივსისხლიანობით განთქმულ „მხიარულ როჯერს" სამხიარულო აღარაფერი ჰქონდა — აშკარად ანერვიულდა და იმედგაცრუებულმა ერთი-ორჯერ საკუთარ თავს მწარედაც შემოუძახა. თუმც ვერაფერმა გაჭრა და ალპელმა ვერსად მონახა ძალა ან მოტივაცია, რომ ორიოდ გეიმი მაინც მოეგო და ანგარიშისთვის ნაკლებ გამანადგურებელი სახე დაეტოვებინა.

„ამ ფინალისთვის ბოდიში, როჯერ" — უთხრა ნამატჩევს ნადალმა მეტოქეს.

ფედერერმა კი ესპანელი შეაქო და მაყურებელს პირობა მისცა, გაისად ისევ ვეცდება პარიზში პირველობასო:

„რაფამ სასწაული მოახდინა. ბიორნ ბორგის შემდეგ აქ ასე არავის უთამაშია. თუმც მომდევნო სეზონში მაინც ვეცდები ჩემი გავიტანო. წლეულს კი ნადალი ისევ უძლიერესი იყო".

მალიორკელმა კი „როლან გაროსის" ზედიზედ მეოთხედ მოგებით ბიორნ ბორგის 1978-81 წლების რეკორდი გაიმეორა. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც რაფას ეს მიულოცა, თავად ლეგენდარული შვედი გახლდათ...

ბოლოს ესპანელის შთამბეჭდავ სათიხნარო სტატისტიკას გადავხედოთ — გრუნტზე ჩატარებული 23 ფინალიდან რაფამ 22 ტიტული დაისაკუთრა. პარიზში თამაშის 4 წლის განმავლობაში კი 90 სეტიდან მხოლოდ 7 წააგო.

**შაბათს** ანა ივანოვიჩი თავად დარწმუნდა, თუ რამხელა ფასი აქვს გამოცდილებას — „როლან გაროსზე" ზედიზედ მეორედ ფინალში გასულმა სერბმა დაამტკიცა, რომ ერთი წლის წინანდელი მარცხისგან სწორი დასკვნები გამოიტანა და დინარა საფინას დამარცხებით თავისი პირველი სლემტიტული გაინაღდა.

12 თვის წინ, ჟუსტინ ენენისგან განადგურების შემდეგ ივანოვიჩმა ლამის დაიფიცა, მომავალ წელს უკეთ ვითამაშებო და აკი დადებული პირობა პირწმინდად აასრულა კიდეც. წინასაპარიზო მომზადების ჩაგდების მიუხედავად, ანა ტურნირის დაწყებამდე ამტკიცებდა, მშვენიერ ფორმაში ვარ, აქაური კორტების მსგავს პირობებში ვვარჯიშობდი და აგერ მიყურეთ, რამდენად უფრო სწრაფი ჩოგბურთი ვაჩვენოო. სერბმა მართლაც გვაჩვენა, რომ სიტყვების ჰაერზე ტყუილად არ ისვრის — ივანოვიჩმა მთელი ტურნირი დიდებულად ჩაათამაშა, ფინალამდე მხოლოდ ერთი სეტი დათმო და სატიტულო მატჩს მართლაც ფორმის პიკზე მყოფმა უწია.

ისე, თამაში საკმაოდ თანაბარი გამოვიდა და მიუხედავად იმისა, რომ კლასით ივანოვიჩი მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა, საფინა თავისი, უკვე კარგად ცნობილი ბრძოლისუნარიანობის წყალობით მაინც კარგა ხანს ახერხებდა ტოლ-სწორად ჩოგნაობას. თუმც იმან, რაც რუსს თანამემამულეებთან, მარია შარაპოვასა და ელენა დემენტიევასთან გაუვიდა, სერბთან შეხვედრაში აღარ გაჭრა. ივანოვიჩი მატჩის ყველაზე გადამწყვეტ და მნიშვნელოვან მომენტებში ახერხებდა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას და მოღრუბლული ცით ჩაბნელებულ კორტს თავისი ლაზათიანი კომბინაციებით ანათებდა.

პირველი სეტი ივანოვიჩის უპირატესობით დაიწყო, თუმც საფინამ შეძლო საპასუხო ბრეიკის გაკეთება და ანგარიშის გათანაბრება. 4:4. სწორედ აქ გამოჩნდა წინა წლიდან მიღებული გამოცდილების მნიშვნელობა, როცა სერბი ლამაზმანი კი არ დაიბნა, არამედ პირიქით, აგრესიულობას უმატა და რამდენიმე უმძლავრესი დარტყმით მეტოქე კიდევ ერთხელ გატეხა. ამის შემდეგ ანას აღარ გასჭირვებია სეტის სათავისოდ დატოვება.

თითქმის ასეთივე სცენარით წარიმართა მეორე პარტიაც, სადაც სერბი ისევ მალევე დაწინაურდა და ამჯერად ეს უპირატესობა აღარც გაუშვია ხელიდან. საფინამ მხოლოდ მერვე გეიმში გაიბრძოლა, რომელიც 13 წუთი გაიწელა და ანგარიში 7-ჯერ გათანაბრდა, მაგრამ ივანოვიჩმა აქაც შეძლო თავის დაცვა, რამაც რუსს საბოლოოდ ჩამოაყრევინა ყურები, რადაგანც მომდევნო მოწოდება ნოლზე ჩააბარა მეტოქეს და თეთრი დროშა გამოფინა.

„ბავშვობის ოცნება ავიხდინე. ამაზე ვოცნებობდი ხოლმე, როცა ვარჯიშებზე ველოსიპედით მივდიოდი. ვერც კი გადმოვცემ, ახლა რას ვგრძნობ, ეს ნამდვილად ფანტასტიკაა" — სიტყვების პოვნა უჭირდა ნამატჩევს ივანოვიჩს.

საფინამ კი პირველ რიგში მეტოქეს მიულოცა გამარჯვება, მარცხი კი ფიზიკურ გამოფიტვას დააბრალა — იმდენად ვიყავი გადაღლილი, რომ რიგ მომენტებში ჩოგანი ხელიდან მივარდებოდაო.

ასეა თუ ისე, ჩოგბურთს ახალი დედოფალი ჰყავს — 20 წლის ანა ივანოვიჩი, რომელიც პირველი სერბი ქალი ჩოგბურთელია რომელმაც სლემტიტულის მოგება შეძლო. თან სიმბოლურიც იყო, რომ „როლან გაროსის" მთავარი ჯილდო ივანოვიჩს შარშანდელმა ჩემპიონმა ჟუსტინ ენინმა გადასცა. სიმბოლური კი აქ ისიც იყო, რომ შაბათს ენინმა სერბ ლამაზმანს თასთან ერთად თითქოს მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსიც გაადაბარა — დღეიდან ხომ ქალთა ჩოგბურთის სათავეში სწორედ ივანოვიჩი მოექცა.

**ქახა ლომაშვილი**





### რაფაელ ნადალი

დაიბადა 1986 წლის 3 ივნისს მალიორკაზე (ბალეარის კუნძულები, ესპანეთი). ესპანეთის მოქალაქე. ცხოვრობს მალიორკაზე. სიმაღლე 185 სმ. წონა 85 კგ. პროფესიონალია 2001 წლიდან. ATP-ის რეიტინგის მე-2 ნომერი (პირველად 2005 წლის 25 ივლისს). კარიერის მანძილზე ჩატარებული 370 მატჩიდან 297 მოიგო და 73 წააგო. მოგებული აქვს ერთეულთა 27 (მათ შორის 4 დიდი სლემის — როლან გაროსი 2005-08) და წყვილთა 4 ტიტული. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 17 მილიონ დოლარზე მეტი.

**ნადალი 2008 წლის როლან გაროსზე**

I **წრე**: ნადალი — ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია) 7:5 6:3 6:1

II **წრე**: ნადალი — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 6:4 6:0 6:1

III **წრე**: ნადალი — იარკო ნიემინენი (26, ფინეთი) 6:1 6:3 6:1

IV **წრე**: ნადალი — ფერნანდო ვერდასკო (22, ესპანეთი) 6:1 6:0 6:2

1/4 **ფინალი**: ნადალი — ნიკოლას ალმაგრო (19, ესპანეთი) 6:1 6:1 6:1

1/2 **ფინალი**: ნადალი — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 6:2 7:6

**ფინალი**: ნადალი — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:1 6:3 6:0

### 2008 წლის როლან გაროსის ყველა ფინალი

**კაცები**: რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:1 6:3 6:0

**ქალები**: ანა ივანოვიჩი (2, სერბეთი) — დინარა საფინა (13, რუსეთი) 6:4 6:3

**კაცთა წყვილები**: პაბლო კუევასი, ლუის ჰორნა (ურუგვაი, პერუ) — დანიელ ნესტორი, ნენად ზიმონიჩი (2, კანადა, სერბეთი) 6:2 6:3

**ქალთა წყვილები**: ანაბელ მედინა გარიგესი, ვირხინია რუანო პასკუალი (10, ორივე — ესპანეთი) — კეისი დელაკუა, ფრანჩესკა შიავონე (ავსტრალია, იტალია) 2:6 7:5 6:4

**შერეული წყვილები**: ვიქტორია აზარენკა, ბობ ბრიანი (3, ბელარუსი, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი, ნენად ზიმონიჩი (1, სლოვენია, სერბეთი) 6:2 7:6

**ჭაბუკები**: ცუნ ჰუა იანგი (ტაივანი) — იეჟი იანოვიჩი (12, პოლონეთი) 6:3 7:6

**გოგონები**: სიმონა ჰალეპი (9, რუმინეთი) — ელენა ბოგდანი (10, რუმინეთი) 6:4 6:7 6:2

**ჭაბუკთა წყვილები**: ჰენრი კორტინენი, კრისტოფერ რუნგკატი (ფინეთი, ინდონეზია) — იან-ფრედერიკ ბრუნკენი, მეტ რეიდი (გერმანია, ავსტრალია) 6:0 6:3

**გოგონათა წყვილები**: პოლონა ჰერცოგი, ჯესიკა მური (8, სლოვენია, ირლანდია) — ლესლი კერკჰოვი, არანტა რუსი (7, ორივე — ჰოლანდია) 5:7 6:1 1:0(10:7)

### ანა ივანოვიჩი

დაიბადა 1987 წლის 6 ნოემბერს ბელგრადში (სერბეთი). სერბეთის მოქალაქე. ცხოვრობს ბელგრადში. სიმაღლე 183 სმ. წონა 73 კგ. პროფესიონალია 2003 წლიდან. დღეიდან WTA-ს რეიტინგის პირველი ნომერია. კარიერის მანძილზე ჩატარებული 207 მატჩიდან 148 მოიგო და 59 წააგო. მოპოვებული აქვს ერთეულთა 7 ტიტული (მათ შორის ერთი დიდი სლემის — როლან გაროსი 2008). საპრიზოების სახით გამოიმუშავა 5 მილიონ დოლარზე მეტი.

**ივანოვიჩი 2008 წლის როლან გაროსზე**

I **წრე**: ივანოვიჩი — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:2 7:5

II **წრე**: ივანოვიჩი — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:1 6:2

III **წრე**: ივანოვიჩი — კაროლინ ვოზნიაცკი (30, დანია) 6:4 6:1

IV **წრე**: ივანოვიჩი — პეტრა ცეტკოვსკა (ჩეხეთი) 6:0 6:0

1/4 **ფინალი** — ივანოვიჩი — პატი შნიდერი (10, შვეიცარია) 6:3 6:2

1/2 **ფინალი**: ივანოვიჩი — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 3:6 6:4

**ფინალი**: ივანოვიჩი — დინარა საფინა (13, რუსეთი) 6:4 6:3

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 21:00 | 197 | დეგერფორსი-ასირისკა | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 21:00 | 198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 21:00 | 199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| 21:00 | 200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008 | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 5 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.50 | 3.20 | 1.85 | 1.87 | 1.31 | 1.17 |
| 22:45 | 6 | ჰოლანდია-იტალია | 3.00 | 3.20 | 2.40 | 1.54 | 1.33 | 1.37 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 7 | ესპანეთი-რუსეთი | 1.73 | 3.30 | 5.20 | 1.13 | 1.29 | 2.01 |
| 22:45 | 8 | საბერძნეთი-შვედეთი | 2.90 | 3.10 | 2.50 | 1.49 | 1.34 | 1.38 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 9 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.70 | 3.20 | 2.05 | 1.71 | 1.31 | 1.24 |
| 22:45 | 10 | შვეიცარია-თურქეთი | 2.15 | 3.20 | 3.40 | 1.28 | 1.31 | 1.64 |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 11 | ხორვატია-გერმანია | 3.50 | 3.20 | 2.10 | 1.67 | 1.31 | 1.26 |
| 22:45 | 12 | ავსტრია-პოლონეთი | 3.10 | 3.20 | 2.30 | 1.57 | 1.32 | 1.33 |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 13 | იტალია-რუმინეთი | 1.75 | 3.30 | 5.00 | 1.14 | 1.29 | 1.98 |
| 22:45 | 14 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 2.90 | 3.10 | 2.45 | 1.49 | 1.32 | 1.36 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 15 | შვედეთი-ესპანეთი | 5.00 | 3.20 | 1.75 | 1.95 | 1.29 | 1.13 |
| 22:45 | 16 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.60 | 3.10 | 2.70 | 1.41 | 1.32 | 1.44 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 17 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 22:45 | 18 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.10 | 3.20 | 2.25 | 1.57 | 1.30 | 1.32 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 19 | პოლონეთი-ხორვატია | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 20 | ავსტრია-გერმანია | 8.00 | 3.70 | 1.45 | 2.52 | 1.22 | 1.04 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 21 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 22:45 | 22 | საფრანგეთი-იტალია | 2.90 | 3.00 | 2.55 | 1.47 | 1.35 | 1.37 |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 23 | რუსეთი-შვედეთი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 24 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.30 | 3.20 | 1.85 | 1.83 | 1.29 | 1.17 |

## II ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 19005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.50 | 2.30 | 2.10 |
| 19006 | ჰოლანდია-იტალია | 3.10 | 2.30 | 2.50 |

## ზუსტი ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 3:1 | 40.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 3:0 | 50.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 0:3 | 15.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 2:0 | 20.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 1:0 | 9.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 1:3 | 12.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 1:2 | 6.50 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 0:2 | 6.50 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 3:2 | 30.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 0:1 | 5.50 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 2:2 | 15.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 1:1 | 6.50 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 0:0 | 8.50 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 2:1 | 13.00 |
| 47005 | რუმინეთი-საფრანგეთი 2:3 | 25.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 3:2 | 25.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 0:2 | 10.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 2:2 | 13.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 3:1 | 20.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 3:0 | 30.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 2:1 | 10.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 2:0 | 15.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 0:0 | 7.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 2:3 | 20.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 1:3 | 15.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 0:3 | 20.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 1:1 | 5.30 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 0:1 | 6.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 1:0 | 8.00 |
| 47006 | ჰოლანდია-იტალია 1:2 | 6.50 |

## ჰანდიკაპი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 25005 | რუმინეთი-საფრანგეთი 1:0 | 1.90 | 3.50 | 3.10 |
| 26005 | რუმინეთი-საფრანგეთი 2:0 | 1.26 | 5.10 | 6.00 |
| 27005 | რუმინეთი-საფრანგეთი 0:1 | 9.50 | 5.50 | 1.13 |
| 25006 | ჰოლანდია-იტალია 1:0 | 1.50 | 3.90 | 5.20 |
| 26006 | ჰოლანდია-იტალია 0:1 | 6.20 | 4.20 | 1.35 |
| 25007 | ესპანეთი-რუსეთი 0:1 | 3.00 | 3.40 | 2.00 |
| 26007 | ესპანეთი-რუსეთი 0:2 | 5.80 | 4.80 | 1.30 |
| 27007 | ესპანეთი-რუსეთი 1:0 | 1.14 | 5.80 | 10.00 |
| 25008 | საბერძნეთი-შვედეთი 1:0 | 1.45 | 4.10 | 5.30 |
| 26008 | საბერძნეთი-შვედეთი 0:1 | 5.80 | 4.10 | 1.38 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელ ტაიმში იქნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 40005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.10 | 3.80 | 1.80 |
| 40006 | ჰოლანდია-იტალია | 2.10 | 3.80 | 1.80 |

### ვინ დაიწყებს თამაშს

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 31005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.90 | 1.90 |
| 31006 | ჰოლანდია-იტალია | 1.90 | 1.90 |

### ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 32005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.90 | [illegible] |
| 32006 | ჰოლანდია-იტალია | 1.80 | 1.80 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 33005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.60 | 2.10 |
| 33006 | ჰოლანდია-იტალია | 1.80 | 1.80 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 20005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 10,5 | 1.60 | 2.00 |
| 20006 | ჰოლანდია-იტალია | 10,5 | 1.70 | 1.90 |

### იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 21005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 3.00 | 1.20 |
| 21006 | ჰოლანდია-იტალია | 3.00 | 1.20 |

### პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 22005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1,5 | 1.25 | 2.10 |
| 22006 | ჰოლანდია-იტალია | 1,5 | 1.25 | 2.10 |

### თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 36005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 5,5 | 1.80 | 1.80 |
| 36006 | ჰოლანდია-იტალია | 5,5 | 1.80 | 1.80 |

### პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 24005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4,5 | 1.90 | 1.70 |
| 24006 | ჰოლანდია-იტალია | 4,5 | 1.80 | 1.80 |

### ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 34005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4,5 | 1.70 | 1.90 |
| 34006 | ჰოლანდია-იტალია | 4,5 | 1.60 | 2.00 |

### პირველ ტაიმში იქნება შეცვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 43005 | რუმინეთი-საფრანგეთი | კი | 3.50 |
| 43005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 105 | 1.00 |
| 43006 | ჰოლანდია-იტალია | კი | 3.50 |

### გოლი გავა კომპენსირებულ დროში

| | | | |
|---|---|---|---|
| 39005 | რუმინეთი-საფრანგეთი | კი | 3.10 |
| 39005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 60 | 1.00 |
| 39006 | ჰოლანდია-იტალია | კი | 3.10 |

### იქნება გაძევება(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 37005 | რუმინეთი-საფრანგეთი | კი | 3.30 |
| 37006 | ჰოლანდია-იტალია | კი | 3.30 |

### მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 45005 | რუმინეთი-საფრანგეთი | კი | 6.00 |
| 45006 | ჰოლანდია-იტალია | კი | 6.00 |

### გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 49005 | რუმინეთი-საფრანგეთი | კი | 3.70 |
| 49006 | ჰოლანდია-იტალია | კი | 3.70 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10006 | ჰოლანდია-იტალია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10197 | დეგერფორსი-ასირისკა | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10007 | ესპანეთი-რუსეთი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10008 | საბერძნეთი-შვედეთი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10010 | შვეიცარია-თურქეთი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10011 | ხორვატია-გერმანია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10012 | ავსტრია-პოლონეთი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10013 | იტალია-რუმინეთი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10015 | შვედეთი-ესპანეთი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10017 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10018 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10019 | პოლონეთი-ხორვატია | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10020 | ავსტრია-გერმანია | 7.00 | 2.50 | 1.55 | 1.84 | 1.26 | 1.00 |
| 10021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10022 | საფრანგეთი-იტალია | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10023 | რუსეთი-შვედეთი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 20.00 | 2.50 | 7.00 | 10.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 |
| 11006 | ჰოლანდია-იტალია | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 3.50 | 10.00 | 10.00 | 4.40 | 20.00 |
| 11196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 6.50 | 20.00 | 10.00 | 4.40 | 2.90 | 20.00 | 10.00 | 5.60 | 3.80 |
| 11197 | დეგერფორსი-ასირისკა | 4.40 | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 20.00 | 4.00 | 10.00 | 4.80 |
| 11198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 4.40 | 10.00 | 4.60 | 3.80 | 4.60 | 20.00 | 3.80 | 10.00 | 20.00 |
| 11199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 10.00 | 4.60 | 20.00 | 4.80 | 20.00 | 4.40 | 3.60 | 10.00 | 4.00 |
| 11200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 4.60 | 20.00 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 7.00 | 3.50 | 2.30 |
| 11007 | ესპანეთი-რუსეთი | 10.00 | 7.00 | 2.30 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 |
| 11008 | საბერძნეთი-შვედეთი | 10.00 | 20.00 | 4.00 | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 |
| 11009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 4.40 | 10.00 |
| 11010 | შვეიცარია-თურქეთი | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 20.00 | 3.00 | 5.30 |
| 11011 | ხორვატია-გერმანია | 20.00 | 10.00 | 3.50 | 20.00 | 4.60 | 5.00 | 10.00 | 4.40 | 4.40 |
| 11012 | ავსტრია-პოლონეთი | 20.00 | 10.00 | 4.40 | 10.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 3.50 |
| 11013 | იტალია-რუმინეთი | 20.00 | 10.00 | 7.00 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.70 | 6.00 |
| 11014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 4.80 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 4.00 | 4.40 | 3.60 | 10.00 | 20.00 |
| 11015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.50 | 2.50 | 7.00 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 7.50 | 10.00 | 20.00 |
| 11016 | საბერძნეთი-რუსეთი | 20.00 | 10.00 | 4.80 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 4.00 | 3.60 |
| 11017 | შვეიცარია-პორტუგალია | 10.00 | 3.30 | 20.00 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 4.80 | 4.20 | 10.00 |
| 11018 | თურქეთი-ჩეხეთი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 20.00 | 4.20 | 3.30 | 10.00 | 5.60 | 4.80 |
| 11019 | პოლონეთი-ხორვატია | 10.00 | 5.30 | 10.00 | 4.00 | 20.00 | 3.00 | 20.00 | 4.40 | 6.00 |
| 11020 | ავსტრია-გერმანია | 1.90 | 20.00 | 9.00 | 10.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 4.80 | 3.50 |
| 11021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 4.40 | 5.30 | 6.00 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 | 20.00 | 10.00 |
| 11022 | საფრანგეთი-იტალია | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.60 | 4.40 | 4.40 |
| 11023 | რუსეთი-შვედეთი | 4.80 | 20.00 | 4.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 10.00 | 4.40 | 10.00 |
| 11024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 | 3.60 | 10.00 | 2.60 | 4.40 | 20.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | 5 და > |
|---|---|---|---|---|
| 12005 | რუმინეთი-საფრანგეთი 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12006 | ჰოლანდია-იტალია 2,5 | 1.55 | 2.30 | 6.75 |
| 12196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი 2,5 | 2.00 | 1.60 | |
| 12197 | დეგერფორსი-ასირისკა 2,5 | 2.00 | 1.60 | |
| 12198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი 2,5 | 2.00 | 1.60 | |
| 12199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი 2,5 | 2.00 | 1.60 | |
| 12200 | იორგრიტე-ქვიდინგი 2,5 | 2.00 | 1.60 | |
| 12007 | ესპანეთი-რუსეთი2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12008 | საბერძნეთი-შვედეთი 2,5 | 1.55 | 2.30 | 6.75 |
| 12009 | ჩეხეთი-პორტუგალია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12010 | შვეიცარია-თურქეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12011 | ხორვატია-გერმანია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12012 | ავსტრია-პოლონეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12013 | იტალია-რუმინეთი 2,5 | 1.55 | 2.30 | 6.75 |
| 12014 | ჰოლანდია-საფრანგეთი 2,5 | 1.55 | 2.10 | 6.75 |
| 12015 | შვედეთი-ესპანეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12016 | საბერძნეთი-რუსეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12017 | შვეიცარია-პორტუგალია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12018 | თურქეთი-ჩეხეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12019 | პოლონეთი-ხორვატია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12020 | ავსტრია-გერმანია 2,5 | 2.10 | 1.60 | 4.70 |
| 12021 | ჰოლანდია-რუმინეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12022 | საფრანგეთი-იტალია 2,5 | 1.50 | 2.40 | 7.25 |
| 12023 | რუსეთი-შვედეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12024 | საბერძნეთი-ესპანეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ჰოლანდია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 1.60 | 2.00 |
| 13197 | დეგერფორსი-ასირისკა | 1.50 | 2.10 |
| 13198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 1.50 | 2.10 |
| 13199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 1.50 | 2.10 |
| 13200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ხორვატია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | იტალია-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.90 | 1.70 |
| 13016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | შვეიცარია-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13018 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ავსტრია-გერმანია | 1.90 | 1.60 |
| 13021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |
| 13022 | საფრანგეთი-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13023 | რუსეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჰოლანდია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | დეგერფორსი-ასირისკა | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ხორვატია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | იტალია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | შვეიცარია-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17018 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ავსტრია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | საფრანგეთი-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | რუსეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჰოლანდია-იტალია | 3.00 | 2.80 | 2:00 |
| 15196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | დეგერფორსი-ასირისკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ესპანეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | საბერძნეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | შვეიცარია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ხორვატია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ავსტრია-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | იტალია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | პოლონეთი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ავსტრია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | საფრანგეთი-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | რუსეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 3.00 | 1.30 |
| 16006 | ჰოლანდია-იტალია | 2.10 | 1.60 |
| 16196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 1.38 | 2.65 |
| 16197 | დეგერფორსი-ასირისკა | 2.05 | 1.65 |
| 16198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 1.80 | 1.85 |
| 16199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 1.75 | 1.85 |
| 16200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 1.23 | 3.60 |
| 16007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.24 | 3.60 |
| 16008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.85 | 1.80 |
| 16009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 2.10 | 1.60 |
| 16010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.50 | 2.30 |
| 16011 | ხორვატია-გერმანია | 2.10 | 1.60 |
| 16012 | ავსტრია-პოლონეთი | 2.10 | 1.60 |
| 16013 | იტალია-რუმინეთი | 1.30 | 3.00 |
| 16014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 2.05 | 1.65 |
| 16015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 1.30 |
| 16016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.70 | 1.95 |
| 16017 | შვეიცარია-პორტუგალია | 2.20 | 1.50 |
| 16018 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.30 | 1.45 |
| 16019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.45 | 1.40 |
| 16020 | ავსტრია-გერმანია | 5.70 | 1.11 |
| 16021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.40 | 2.55 |
| 16022 | საფრანგეთი-იტალია | 2.05 | 1.65 |
| 16023 | რუსეთი-შვედეთი | 1.95 | 1.65 |
| 16024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.90 | 1.32 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.30 | 1.65 |
| 14006 | ჰოლანდია-იტალია | 2.00 | 1.80 |
| 14196 | ბუნკეფლო-ენჩიოპინგი | 1.70 | 2.20 |
| 14197 | დეგერფორსი-ასირისკა | 2.00 | 1.80 |
| 14198 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 1.90 | 1.90 |
| 14199 | ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 14200 | იორგრიტე-ქვიდინგი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.45 | 2.40 |
| 14008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.75 | 2.10 |
| 14011 | ხორვატია-გერმანია | 2.00 | 1.80 |
| 14012 | ავსტრია-პოლონეთი | 2.00 | 1.80 |
| 14013 | იტალია-რუმინეთი | 1.65 | 2.30 |
| 14014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 1.95 | 1.85 |
| 14015 | შვედეთი-ესპანეთი | 2.30 | 1.65 |
| 14016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 14017 | შვეიცარია-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14018 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.10 | 1.75 |
| 14019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.20 | 1.70 |
| 14020 | ავსტრია-გერმანია | 2.60 | 1.20 |
| 14021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.70 | 2.20 |
| 14022 | საფრანგეთი-იტალია | 1.95 | 1.85 |
| 14023 | რუსეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.20 | 1.70 |

# მილანი დროგბას ელაპარაკება



„**მილანი**“ კვლავ კარგი ფორვარდის ძიებაშია და ამჟამად ძირითადი ყურადღება დიდიე დროგბაზე აქვს გადატანილი. „როსონერი“ ლონდონის „ჩელსის“ კოტდივუარელ თავდამსხმელს, დიდი ხანია, უტრიალებს.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ თქვა, რომ რამდენიმე დღის წინ „ჩელსის“ აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კინიონს შეხვდა, რომლისგანაც მოლაპარაკების დაწყების უფლება მიიღო. „როსონერი“ ლონდონელებს — ფასზე, თავად დროგბას კი პირად კონტრაქტზე უნდა შეუთანხმდეს.

„ლონდონელებმა დროგბასთან მოლაპარაკების დაწყების ნება დაგვრთეს. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ანდრეი შევჩენკოს შესახებ. „ჩელსი“ შევას არ ყიდის, რაც ჩვენთვის ცუდი ამბავია“ — თქვა გალიანიმ.

„მილანი“ არც სამუელ ეტოოს ივიწყებს. იტალიური პრესის ცნობით, „როსონერი“ მოლაპარაკებას კამერუნელთან და „ბარსელონასთანაც“ აწარმოებს.

შეგახსენებთ, რომ მილანელები ემანუელ ადებაიორითაც იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ „არსენალმა“ ტოგოელში ძალიან ბევრი ფული მოითხოვა. თან თავად ფეხბურთელმა „მეთოფეებში“ დარჩენის სურვილი გამოთქვა.

„გასულ სეზონში 30 გოლი გავიტანე და მომავალში 40-ის გატანა შემიძლია. ბედნიერი ვარ და თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ. 2008-2009 წლების სეზონში გვსურს უკეთ ვითამაშოთ და ტიტულები მოვიპოვოთ“ — განუცხადა ადებაიორმა „დეილი სტარს“.

ამასობაში, „მილანმა“ 25 წლის მცველი ლუკა ანტონინი დაიბრუნა, რომელიც სანახევროდ „ემპოლის“ საკუთრება გახლდათ. „როსონერის“ აღზრდილს ტოსკანელების გარდა, „პადოვაში“, „პრატოში“, „ანკონაში“, „სამპდორიაში“ „მოდენაში“, „პესკარაში“, „პრეცოსა“ და „სიენაში“ უთამაშია. ამ მოგზაურობის მერე, იგი ბოლოს და ბოლოს, „სან სიროს“ დაუბრუნდა.

„ვადასტურებ, რომ ანტონინი დავიბრუნეთ, იგი გუნდიდან წასული სერჟინიოს ადგილს დაიკავებს“ — თქვა გალიანიმ.

**კოკი კანდელაკი**



ჯიჯი ბეკალი

# კორუფცია რუმინეთში

**რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ბუქარესტის „სტიაუას“ შვიდი, ხოლო „უნივერსიტატია კლუჟს“ ექვსი ქულა დააკლო. ორივე ამ კლუბს თამაშის ჩაწყობის მცდელობა დაბრალდა.

როგორც რუმინეთის კორუფციასთან მებრძოლმა ორგანიზაციამ და დისციპლინარულმა კომიტეტმა დაადგინეს, „სტიაუას“ პრეზიდენტი ჯიჯი ბეკალი გასულ თვეში „უნივერსიტატია კლუჟს“, კერძოდ კი მის პრეზიდენტ ანტონ დობოშს 1,7 მილიონ ევროს სთავაზობდა, რათა „უნივერსიტატია კლუჟს“ „კლუჟთან“ არ წაეგო.

მიუხედავად ამისა, „კლუჟმა“ „უნივერსიტატია კლუჟს“ 1:0 მოუგო, „სტიაუას“ 1 ქულით გაასწრო და ჩემპიონი გახდა.

„დავადგინეთ, რომ „სტიაუასა“ და „უნივერსიტატია კლუჟის“ პრეზიდენტები, რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად, მაქინაციებში იყვნენ გარეულნი. წესების თანახმად, „სტიაუას“ შვიდი, ხოლო „უნივერსიტატიას“ ექვსი ქულა დააკლდა“ — თქვა დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარემ დანიელ ჩერნატმა.

მიუხედავად ქულების დაკლებისა, „სტიაუა“ მეორე ადგილზე დარჩა. „უნივერსიტატია“ კი ასეც ვარდებოდა და ისეც.

გარდა ამისა, ბეკალისა და დობოშს ,85 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრათ და რუმინეთში საფეხბურთო სტადიონებზე გამოჩენა ორი წლით აეკრძალათ. „სტიაუას“ ფეხბურთელმა პეტრე მარინმა და „უნივერსიტატიას“ გიგელ მარინმა კი ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს.

გაბრაზებულმა ბეკალიმ განაცხადა, რომ ამას კორუფცია არ ჰქვია და განაჩენს გაასაჩივრებს.

**კოკი კანდელაკი**

# ტრეზეგე რჩება



**დავიდ ტრეზეგემ** უარყო „იუვენტუსიდან“ წასვლის შესაძლებლობა და განაცხადა, მსურს კარიერა ტურინელთა რიგებში დავასრულოო. „კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გავახანგრძლივე და მსურს, კარიერა „ბებერი ქალბატონის“ მაისურით დავასრულო. „ბარსელონაში“ გადასვლასთან რამდენიმე წლის წინ ახლოს ვიყავი. კატალონიელებს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი ჰყავთ და შეთანხმება პრობლემა არ იყო. უბრალოდ, ფაბიო კაპელომ დამირეკა და მითხრა, რომ მენდობოდა, ყველაფერი ამიხსნა და დარჩენა მთხოვა. 5 წუთში მოვრიგდით. კაპელოსთან, ისევე როგორც მარჩელო ლიპისთან, მუშაობა ძალიან სასიამოვნო გახლდათ — ამ მწვრთნელებს ყველაფერი მოუგიათ“ — თქვა ტრეზეგემ.

**გიორგი კაკაბაძე**


AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC
The Perfect Experience




აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად“ მონაწილე!

I ეტაპი — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

II ეტაპი — დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

III ეტაპი — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარული სპორტ კაფეში ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;

ამერიტექი AMERITECH

ცოცხალიზაცორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი — წყვილი — შედეგი — კოეფ-ტი — სისტ

— წუხელ სამი კუში დავიკელი ნერვიულობისგან, ტო. ამ შავი პალასიდან გამიყვანე და ივნისის ბოლოს ორმოცკუშიან ტაიმბოლს დავკლავ.

— დაიფიცე.

— ცოლს გავეყარო ფრეზე, თუ არ ვიკისრო, ტო.

— ადრე რო გამოგათრიე შავი პალასიდან, კუშნაზევრიან სუფთა ღვინოსაც შემპირდი.

— ეგ როდის, ტო?

— რვა წლის წინ, ჯორჯ ბუშის ერთიანი რო გითხარი ალბერტ გორთან პრეზიდენტის არჩევნებში.

— მე ვიყო ფორით ცუდი, თუ ეხლა უეჭველი არ ჩაგაბარო, ოღონდ ორი ნაღდი თამაში მითხარი. ხო ხედავ, ტო, სატანებს ვეთამაშები, ნახე, შაბათს რა მიქნეს...

— რატო აგებ, იცი?

— რატო, ტო?

— სატანები 3-4-3-ით გეთამაშებიან, შენ კიდე საყრდენი არ გივარგა..

— ნუ მელადავები რა, ტო, ღამე ისედაც ხვოსტიკიანი კუშები მესიზმრება..

— შაბათს რა გეწერა?

— რა მეწერა და ზდენეკ გრიგერას თუ გადავეყარე სადმე, წაგებული ბილეთივით დავხევ.

— რა დაგიშავა?

— ფრაის ბომბარდირობა დავწერე ას დოლარში.

— მერე?

— რა მერე, ფუტბოლს არ უყურებ? გრიგერამ დაამტერია და ჩემი ასი დოლარი კასტილებით წავიდა.

— მეორე ბილეთში რამ წაგაგებინა?

— ფკ „ჰავლაბარმა“

— ეს ინჩა ასუმ, რა ჰავლაბარმა...

— ბრაზილიის აძინიქსზე დავდევი ვენესუელასთან. პორტუგალიის ერთიანს მივაბი.

— კასტილებითა ხარ საცემი. ბრაზილია რამ დაგაწერინა, ეგ თამაში იყო ბოსტონში „ჯილეტის“ სტადიონზე და იმიტომაც გაგპარსეს. შენნაირებმა ბრაზილიის უეჭველი ერთიანები მიაბეს პორტუგალიის მოგებას. პროსტამაც, ეგ ბრაზილია-ვენესუელა იყო შემოგდებული, მაგის ერთიანით ხალხი კუშებს ამრგვალებდა და მაგრა დაამრგვალეს.

— ისე ბაზრობ, თითქოს მეკუშეობის კათედრის გამგე იყო. მაგდენი დრო არა მაქ, ორი ნაღდი თამაში მითხარი და მივდივარ.

— არაფერს არ გეტყვი. ჯერ კუშნაზევრიანი ღვინო ჩამაბარე და მერე.

— ხარაშო, შენ თუ ფრაისავით არ გატირო, ნახავ.

**ᲙᲣᲨᲘ ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲘᲐ**

ჩემი ბილეთი:
001 რუმინეთი — საფრანგეთი
შედეგი: ზიდანი სტადიონზე პარაშუტით დაეშვება
სავარაუდო მოგება: უპილოტო საფრენი აპარატი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რა აქვთ საერთო ჯო, ეშლი, ენდი და კარლტონ კოულებს.

114140 *

## euro_fan_2008@yahoo.com

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**



**PAZ52**: პირველად ვწერ საყვარელ გაზეთ „სარბიელში“, რომლის მკითხველი მართლაც რომ პირველივე ნომრიდან ვარ. ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ გულშემატკივართა წერილებს, ძირითადად, geo_fan-ში.

ევროპის ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ დაიწყო. წინ არანაკლები თამაშები გველის, განსაკუთრებით, თავისი დაძაბულობით. გუშინდელ თამაშებთან დაკავშირებით 2 მომენტზე მინდა გავამახვილო ყურადღება:

1. მსაჯთა შეცდომები. ამაზე მეტად საპასუხისმგებლო თამაში რაღა გინდა, ჩემპიონატის პირველი დღეა, მაგრამ 2 ნაღდი, როგორც იტყვიან, 100%-იანი პენალტი არ დაიდო, მაგრამ ბანალური ფრაზა — მსაჯიც ადამიანია, ძალაშია. აქედან დასკვნა, ამ ჩვენს მსაჯებსაც ვაპატიოთ თითო-ორი შეცდომა. ნუ ავტეხავთ ვაი-უშველებელს.

მე-2 და, მთავარი, ყურადღებით ვუყურე მატჩების გახსნის ცერემონიალს. გარდა იმ თურქი შავკანიანისა, ყველა მღეროდა საკუთარი ქვეყნის ჰიმნს. კრიშტიანუ რონალდუს ვაკვირდებოდი, თან მღეროდა, თან ისეთი თვალები ჰქონდა, გეგონებოდა, ახლა იწყებს თამაშს, ჯერ ცხოვრებაში არაფერი მოუგიაო. ვერაფრით ვერ დაიჯერებდი, ამ კაცს ერთად აღებული საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელის ოდენა ხელფასი აქვსო. ვერ დავიჯერებ, რომ ქართულ ჰიმნში უფრო რთული სიტყვები იყოს. რა ვქნა, ჩემი ასაკის გულშემატკივარს, რომელსაც შოთას ხსენებაზე იამანიძე მახსენდება (შოთი არველაძის საწყენად არ ვამბობ, მისი თავგადაკლული გულშემატკივარი ვიყავი და ვარ, თან მადლიერი და უამრავი, თუმცა არასაკმარისი, ბედნიერი წუთისთვის), ეს ფაქტი — ჰიმნის არცოდნა, ძალიან საგულისხმოა.

ჰოდა, ჩემი სატკივარიც უნდა ვთქვა. ჯერჯერობით არც მაღალი კლასის მოთამაშეების რაოდენობაა საკმარისი ნაკრებში, პატრიოტიზმის დეფიციტიც სახეზეა და ამიტომ: არ გვინდა ძვირადღირებული უცხოელი მწვრთნელი, თუ ფედერაციას რამე სახარჯავი თანხა აქვს, დახარჯოს ეს ფული, ზოგადად, ფეხბურთის განვითარებისთვის, მერე ასმაგად ამოვიღებთ.

კეთილი სურვილებით, მომავლის იმედით.

euro_fan_2008@yahoo.com

# ენითაუწერელი სიხარული




— ევროპის ჩემპიონატზე თამაში განსაკუთრებული რამაა. უცებ ვერც გავიგე რა მოხდა. ასეთი რაღაც არასოდეს განმიცდია. ენითაუწერელი სიამოვნების გრძნობა დამეუფლა, ეს ფანტასტიკა გახლდათ.

**— ალბათ კიდევ უფრო ბედნიერი გახდით, როცა გაიაზრეთ, რომ თქვენს ნაკრებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანეთ...**

— რასაკვირველია! თუმცა უსამართლობა იქნება, ყველაფერს მე თუ მომაწერთ. ჩვენ ერთად მოვიგეთ.

**— რამ გაგიელვათ თავში, როცა თქვენი დარტყმის მერე, ბურთი შვეიცარიელთა კარში აღმოჩნდა?**

— არაფერმა! თავიდან არ დავიჯერე, რომ ეს მოხდა. შვეიცარიელები ძალიან კარგად თამაშობდნენ და მოგება ძალიან მძიმე ბრძოლაში შევძელით. ჩვენ კოლექტიურად გავისარჯეთ კარგად.

**— რა დაგეხმარათ ასე კარგად თამაში?**

— შეიძლება ითქვას, სახლში ვთამაშობდი. ეს ნებისმიერი ადამიანისთვის სასიამოვნოა. როცა გრძნობ, რომ შენი ოჯახი გვერდითაა და გარშემო სულ ახლობლები გახვევიან, რომლებიც მხარს გიჭერენ და გამხნევებენ, ძალიან სასიამოვნოა. ეს საქმეს ერთიორად გიადვილებს და ზედმეტზე არაფერზე ფიქრობ, მხოლოდ კარგად თამაშზე. გასული სეზონი წარმატებულად ჩავატარე, მაგრამ ეს გოლი ჯერჯერობით ჩემი კარიერის პიკია, სიტყვებით ვერ გადმოვცემ ამ ყველაფერს.

**— რას ნიშნავდა თქვენთვის მასპინძლებთან პირველ მატჩში გამარჯვება?**

— სამ ქულას. გვსურს ტურნირის მსვლელობისას მოვუმატოთ. უფრო და უფრო უკეთ ვითამაშოთ, რათა წარმატებას მივაღწიოთ.

**— საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩეხეთის ნაკრები ასე მძიმედ არ გამოიყურებოდა და უფრო ადვილად იგებდით მატჩებს. რა მოხდა ახლა?**

— ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა, არა ისე ადვილად, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. თან ჩვენი მეტოქე ხომ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი გახლდათ. საშინლად ვითამაშეთ-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ბევრად უკეთ შეგვიძლია.

## C ჯგუფი. დღეს

# ტრავმებით გატანჯულნი

„სტად დე სუისი“, ბერნი

**ჰოლანდია — შვეიცარია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი; ოოიერი, ჰეიტინგა, მატაისენი, ვან ბრონკჰორსტი; დე ზეუვი, ენგელაარი; სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, რობენი; ვან ნისტელროი

**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი

**იტალია:** ბუფონი; პანუჩი, ბარცალი, მატერაცი, ძამბროტა; პირლო, გატუზო; კამორანეზი, აკვილანი; ტონი, დი ნატალე

**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი

**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)



მარკო ვან ბასტენი მოგებას გეგმავს

**მსოფლიოს** მოქმედი ჩემპიონების იტალიელებისა და ჰოლანდიის ნაკრების მატჩი ბუნებრივია დიდ ინტერესს იწვევს. „სიკვდილის ჯგუფში“ მყოფი „სკუადრა აძურასთვისაც“ და „ნარინჯისფრებისთვისაც“ ამ შეხვედრის წაგება ჯგუფში ჩარჩენის ტოლფასი თუ არა, ძალიან ცუდი შედეგი იქნება.

ორივე გუნდს ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. განსაკუთრებით ჰოლანდიელებს. რაიან ბაბელმა ცოტა ხნის წინ ტრავმა რომ მიიღო და ევრო 2008-ზე ვერ გაემგზავრა, იცით. ახლახანმომჯობინებული რობინ ვან პერსის თამაში საეჭვოა, მან წესიერად ვარჯიში ახლაღა დაიწყო და სათანადო ფორმაში არ არის. შაბათის ვარჯიშზე დაშავდა არიენ რობენიც. ასე რომ, მარკო ვან ბასტენს გვარიანი პრობლემა შეექმნა.

მცირე ტრავმა აწუხებს მარიო მელხიოტსაც, მაგრამ ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ იგი მინდორზე გასვლას შეძლებს.

იტალიას ვარჯიშზე ჯორჯო კიელინისთან შეჯახებისას დაშავებული კაპიტანი ფაბიო კანავარო გამოაკლდა, რომელიც ფიორენტინელი ალესანდრო გამბერინით ჩაანაცვლეს. ამან ცხადია, რობერტო დონადონის დაცვაში პრობლემები გაურთულა. მით უმეტეს, რომ ვეტერანი კრისტიან პანუჩი მუხლს იტკიებს, მაგრამ იმედი აქვს, რომ მატჩისთვის მომჯობინებას მოასწრებს.

„ნამდვილად არ მინდა, პირველი მატჩი გამოვტოვო. ვფიქრობ, მატჩის დაწყებამდე სრულად მწყობრში ჩადგომას მოვასწრებ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ჰოლანდია ძალიან ძლიერი ნაკრებია, ბურთის ფლობა ჩინებულად ეხერხება და შეტევაშიც ხეირიანად თამაშობს. „ნარინჯისფრებს“ შესაძლოა, გარკვეული პრობლემები დაცვის ხაზში ჰქონდეთ და ამით სარგებლობა უნდა მოვახერხოთ“ — აღნიშნა 35 წლის პანუჩიმ.

გავრცელებული ინფორმაციით, დონადონი დაცვის ცენტრს ანდრეა ბარცალისა და მარკო მატერაცის მიანდობს. კაპიტნის სამკლავურს კი ჯანლუიჯი ბუფონს გადააბარებს, რადგან ნაკრებში ამჟამად ყველაზე სახელიანი და ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ალესანდრო დელ პიერო, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

„ბოლო ორ წელიწადში ბევრი რამ მოხდა როგორც „იუვენტუსში“ ასევე ნაკრებში. მოვიდა ახალი მწვრთნელი, ახალი სტილით, მაგრამ ამ ყველაფერმა კიდევ უფრო გამაძლიერა და ბედნიერი ვარ. 10 წლის წინ მიღებული ტრავმა ხანდახან თავს კიდევ შემახსენებს ხოლმე, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია და შეგუებული გახლავართ. თუმცა ახლა 100 პროცენტით მზად ვარ საბრძოლველად. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია. ყოველმხრივ ვეცდები ნაკრებს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო“ — თქვა დელ პიერომ.

შეგახსენებთ, რომ ვან ბასტენსა და დონადონის ერთად „მილანში“ უთამაშიათ და ისინი კარგი მეგობრები არიან.

მარკო ვან ბასტენი: „დიახ, ფეხბურთიც გვითამაშია ერთად და გოლფიც. დონადონი ნამდვილი სპორტსმენი და გამარჯვებულია. მან რთული სამუშაო გასწია და ბრწყინვალე ნაკრები ჰყავს. ცხადია, ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ ამ გამოწვევისთვის მზად ვართ. კარგად დაწყება, მით უმეტეს, ასეთ მძიმე ჯგუფში, ძალიან მნიშვნელოვანია და ყველანაირად ვეცდებით სასურველი შედეგის მიღწევას“.

„ძალიან მძიმე ბრძოლა გველის, როგორც უშუალოდ პირველ მატჩში, ასევე მთლიანობაში. ურთულეს ჯგუფში ვართ, მაგრამ ჩვენ ახალგაზრდა და დიდი პოტენციის მქონე ნაკრები გვყავს და არც მოტივაცია გვაკლია. საჭიროა ჩვენი მეტოქეების სახელების დავიწყება, უბრალოდ საკუთარი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, მინდორზე ბოლომდე დავიხარჯოთ და ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება“ — განაცხადა ვან პერსიმ.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიას იტალიისთვის 30 წელია არ მოუგია. სულ ეს გუნდები ერთმანეთს 15-ჯერ შეხვედრილან და აქედან „სკუადრა აძურას“ 8 მატჩი აქვს მოგებული, „ნარინჯისფრებს“ კი მხოლოდ 2, შესაბამისად, 5-ჯერ მათ ფრედ ითამაშეს.

**გიორგი ძაძაგაძე**



რაიმონ დომენეკი

# აუტსაიდერი ფინალისტები

„ლეციგრუნდ შტადიონი“, ციურიხი

**რუმინეთი — საფრანგეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რუმინეთი:** ლობონტი; კონტრა, ტამაში, გოიანი, რატი; რადოი, კოჩიში; პეტრე, კოჟუ; მუტუ, მარიკა

**მწვრთნელი:** ვიქტორ პიცურკა

**საფრანგეთი:** კუპე; სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი; ტულალანი, მაკელელე; რიბერი, მალუდა; ბენზემა, ანრი

**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**რა შეიძლება** ითქვას საფრანგეთისა და რუმინეთის დღევანდელ დაპირისპირებაზე? ალბათ, უპირველეს ყოვლისა ის, რომ ამ წყვილში, თეორიულად მაინც, ფავორიტი საფრანგეთია. მეორე მხრივ, რუმინელების ჩამოწერა დიდი სისულელე იქნებოდა. ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული და რუმინეთისგან საფრანგეთის დამარცხების 36-წლიან ლოდინს რატომ არ შეიძლება რომ ჰქონდეს?

თუმცა, მოდი, ისტორიულ სამართლიანობას თუ უსამართლობას თავი დავანებოთ და უბრალოდ და გასაგებად ვთქვათ: რუმინეთი ძლიერი გუნდია! საიდან ვიცით? მან შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც არც მეტი არც ნაკლები, ჰოლანდიის ნაკრები გამოდიოდა, პირველი ადგილი დაიკავა.

ახლა, რუმინელთა ბოლო ორი ამხანაგური თამაში გავიხსენოთ: 3:0 რუსეთთან და 4:0 ჩერნოგორიასთან. ნუ, რუსეთის რაობასა და სიძლიერეზე, მოდი, ნულარ ვილაპარაკებთ, ხოლო ჩერნოგორია „რომას“ ვარსკვლავის მირკო ვუჩინიჩისა და ფიორენტინელი სტევან იოვეტიჩის გუნდია.

და მაინც, ხალხის აზრით, საფრანგეთი უფრო ძლიერია. ამას, მავანი, თუნდაც მხოლოდ ფეხბურთელების გვარების ჩამოთვლით დაამტკიცებს: ტიერი ანრი, ქარიმ ბენზემა, ფრენკ რიბერი, სამირ ნასრი, ნიკოლა ანელკა... როგორი თავდასხმაა, გაძლება არ უნდა? გასაგებია, რომ „ლურჯების“ მწვრთნელი რაიმონ დომენეკი თავდასხმაში ანრის დააყენებს, უკნიდან კი რიბერის მიახმარს, მაგრამ თუ რუმინელები ამ ორი ვარსკვლავის ნაპერწკალს ჩააქრობენ, ბენზემასა და ნასრისაც მიაშველებს — ნუ დაგვავიწყდება, რომ ბენზემა საფრანგეთის გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

საფრანგეთის მხარესაა გამოცდილებაც, თუმცა ვეტერანთაგან პატრიკ ვიეირამ შეიძლება ვერ ითამაშოს. გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ მან ბარძაყის კუნთი გაიჭიმა და კინაღამ მატიე ფლამინით შეცვალეს. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ფლამინი შინ დაბრუნდა, ვიეირა კი „ლურჯთა“ ბანაკში დარჩა, მაგრამ რუმინეთთან თამაშში მონაწილეობა გადაწყვეტილი მაინც ვერ იქნება. ერთი სიტყვით, იქნება თუ არა ვიეირა, ამას დომენეკი ბოლოწამს გადაწყვეტს, მაგრამ კლოდ მაკელელეს რწმენით, მისმა ვეტერანმა თანაგუნდელმა რომც ვერ შეძლოს მოედანზე გასვლა, ამით ფრანგების მებრძოლ სულს არაფერი დააკლდება:

„პატრიკის არყოფნა არაფერს შეცვლის. იქნება ის თუ არა, ამოცანა ერთია: მოედანზე უნდა გავიდეთ და იქ ვივარგოთ. მეორე მხრივ, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. პატრიკმა უკვე ივარჯიშა და თავს ყოველდღე უკეთ და უკეთ გრძნობს. ახლა, სანამ მის თამაშთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ვიეირას თამაში რისკთან არ არის დაკავშირებული“.

სხვათა შორის, კოლუმბიასთან ამხანაგური თამაშის შემდეგ თვით ანრისა და რიბერის მიკროტრავმებზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ საშიში არაფერია — დომენეკმა ერთიცა და მეორეც ბოლო ვარჯიშებზე ნაკლებად დატვირთა და სულ ეს იყო.

რუმინელები კი ცენტრალური მცველის, დორინ გოიანის კოჭს შეჰყურებენ შიშით, თუმცა ესეც გადალახულ პრობლემას ჰგავს.

„ეს თამაში არც ჩემპიონატს მოგვაგებინებს და არც ჭაობში ჩაგვაგდებს — განაცხადა დომენეკმა — პირველი თამაში არ უნდა წავაგო, მაგრამ გადამწყვეტი მატჩიც ნამდვილად არ ეთქმის“.

რუმინეთის თავკაცი ვიქტორ პიცურკა კი ასე მსჯელობს: „ჩვენ ამ „სიკვდილის ჯგუფში“ აუტსაიდერები ვართ, მაგრამ ჩვენი შანსიც სწორედ ეს არის. თუ ჩვენი ფეხბურთელები სწორ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფორმაში იქნებიან, ჯგუფიდან გასვლას შევძლებთ. მოკლედ, ჩვენ შეგვიძლია ფინალშიც გავიდეთ და ყველა თამაშიც წავაგოთ“.

**ბაჰუნა ძიდია**

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## A ჯგუფი

## №1 შვეიცარია 0:1 ჩეხეთი

7 ივნისი. ბაზელი (შვეიცარია). „სენტ-იაკობ-პარკი". 39 730 მაყურებელი

0:1 სვერკოში (71)

1 ბენალიო

მწვრთნელი
იაკობ კუნი

5 ლიხტშტაინერი 20 მიულერი 4 სენდეროსი 3 მანინი

8 ინლერი 15 ქელსონი

19 ბეჰრამი 16 ბარნეტა

9 ფრაი 11 შტრელერი

9 კოლერი

20 პლაშილი 7 სიონკო

3 პოლაკი 14 იაროლიმი

4 გალაშეკი

6 იანკულოვსკი 22 როზეჰნალი 21 უიფალუში 2 გრიგერა

მწვრთნელი
კარელ ბრიუკნერი

1 ჩეხი

შეცვლა: ფრაი – 10. ჰაკან იაკინი (46),
კოლერი – 10. სვერკოში (56), ლიხტშტაინერი – 22. ფონლანტენი (75), სიონკო – 11. ვლჩეკი (83), ბეჰრამი – 12. დერდიოკი (84), იაროლიმი – 5. რად. კოვაჩი (87)

გაფრთხილება: მანინი (59), ფონლანტენი (76), ბარნეტა (90)

მსაჯები: რობერტო როზეტი (იტალია);
ალესანდრო გრიზელი (იტალია), პაოლო კალჩანიო (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 21 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 7 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 3 |
| 37,43 წთ | ბურთის ფლობა | 30,55 წთ |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

## ვინ რა თქვა

*კობი კუნი*: „მინდა, ჩემს ფეხბურთელებს კარგი თამაში მივულოცო, ისინი უკეთესად ვერ გაირჯებოდნენ. მინდორი თავაწეულებმა დავტოვეთ და ახლა ყურადღება მომავალ მატჩზე უნდა გადავიტანოთ. ყველამ ნახეთ, რამდენი მომენტი გვქონდა, თავისუფლად შეგვეძლო მოგვეგო ან ფრედ გვეთამაშა. თუმცა ეს ფეხბურთია, რომელიც ყოველთვის სამართლიანი შედეგით არ სრულდება. ტურნირი ჩვენთვის არ დამთავრებულა. ცხადია, ასეთი მატჩის წაგება და კაპიტნის დაკარგვა შოკისმომგვრელი გახლავთ და ჯგუფიდან გასვლის შანსები შეგვიმცირდა, მაგრამ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ბიჭებს შევახსენე, რომ 2004 წელს პორტუგალიამ პირველი მატჩი წააგო, მაგრამ მერე, ფინალამდე წაუგებლად იარა. ახლა დაცვაში ხარვეზების გამოსწორებაზე მუშაობაა საჭირო."

*კარელ ბრიუკნერი*: „კარგად ვიმუშავეთ და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოვიპოვეთ. თუმცა თამაში ბევრად უკეთ შეგვიძლია და პრობლემები ყველა რგოლში უნდა აღმოვფხვრათ. არ დაგვავიწყდეს, რომ მასპინძელთან გახსნის მატჩს ვთამაშობდით და ზეწოლა დიდი იყო. კოლერი სვერკოშით იმიტომ შევცვალე, რომ თავდასხმაში გვიჭირდა და სწრაფი ფორვარდი გვჭირდებოდა, ამან გაამართლა კიდეც, მაგრამ მაინც არა მგონია, პირველ ადგილზე გავიდეთ. თუმცა მთავარი მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებაა".

*პეტრ ჩეხი*: „ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვიძლია და ეს ვიცით. განსაკუთრებით პირველ ტაიმში ბურთს სულელურად ვკარგავდით და მეტოქის ზეწოლის ქვეშ მოვექეცით. თუმცა გუნდური სულისკვეთების წყალობით მიზანს მაინც მივაღწიეთ"

ყველაზე მეტჯერ შვეიცარიელთაგან ლუდოვიკ მანინი (4) დაჯარიმდა, ხოლო ჩეხთაგან — დავიდ იაროლიმი (5). ამასთანავე იაროლიმს ყველაზე მეტჯერაც ეუხეშნენ (5). კარის ჩარჩოში ორ-ორჯერ დაარტყეს ალექსანდერ ფრაიმ და მარეკ იანკულოვსკიმ. იან კოლერი ორჯერ ჩარჩა ოფსაიდში. ორჯერვე ჰაკან იაკინის დარტყმული კარს ასცდა.

## ბედისგან გაწირულნი და ფრაის ცრემლები



ფრაისთვის ევროპა დასრულდა

**ფეხბურთი** და ლოგიკა კარგი მეგობრები რომ არ არიან, დიდი ხანია ვიცით, მაგრამ ამის გამეორება ხშირად გვიწევს და ახლაც ასეა. გულწრფელად შეგეცოდებოდა ადამიანს მონდომებული შვეიცარიის ნაკრები, რომელმაც თამაშით აჯობა გამოცდილ ჩეხეთს, მაგრამ მაინც ხელცარიელი დარჩა. იღბალმა კობი კუნის შეგირდებს ესეც არ აკმარა და კაპიტნის, ალექსანდრ ფრეის გარეშე დატოვა.

კარელ ბრიუკნერის გუნდმა კი, თავისი ფაქტობრივად ერთადერთი შანსი გამოიყენა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. თუმცა, თუ ჩეხები ასე თამაშს გააგრძელებენ, ძნელი სავარაუდოა, მეტის მიღწევის შანსი ჰქონდეთ.

მშვენივრად გამოჩნდა, თუ როგორ აკლია ჩეხეთს კაპიტანი ტომაშ როსიცკი, ვინც ტრავმის გამო ტოვებს ევროპის ჩემპიონატს. ისინი შეტევაში უფანტაზიოდ, საშინლად ერთფეროვნად გამოიყურებიან. ბრიუკნერი სწორედ ამას ჩიოდა, თავდასხმაში თამაში უნდა გამოვასწოროთო.

კლასიკური 4-4-2-ით მოთამაშე კუნის შვეიცარია თავიდანვე უფრო მონდომებული და აქტიური გახლდათ. ევრო 2008-ის ერთ-ერთი მასპინძელი ძირითადად სულ მარჯვენა ფლანგიდან უტევდა.

ბრიუკნერმა უპირატესობა დაცვით 4-5-1-ს მიანიჭა. საინტერესოა, რომ ჩეხების იერიშების აბსოლუტური უმეტესობაც მარჯვენა ფლანგიდან ხორციელდებოდა, სადაც ფუტკარივით მშრომელი ლიბორ სიონკო აქტიურობდა, რომელიც პეტრ ჩეხის მერე, ნაკრების საუკეთესო მოთამაშე იყო ამ მატჩში. ალაგ-ალაგ იაროსლავ პლაშილიც გაიელვებდა ხოლმე. თუმცა ჩეხების იერიშები აშკარად გადამეტებული ნათქვამია, რადგან ისინი რაღაცას კი ცდილობდნენ, მაგრამ ფაქტობრივად არაფერი გამოსდიოდათ. ეს ყველაფერი ერთი სიტყვით შეგვიძლია დავახასიათოთ — ფაფხური.

აი, შვეიცარიელები კი გაცილებით გაზრებულად გამოიყურებოდნენ და მომენტებიც ექმნებოდათ. ჩეხებს თითქოს ყველა ზონა გადაკეტილი ჰქონდათ და მათ კართან მიახლოვება ძალიან ძნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სივრცეები მაინც აშკარად ჩნდებოდა, მით უმეტეს, რომ მცველები რამდენჯერმე შეცდნენ.

ფრაიმ ორჯერ მწვავედ დაარტყა და ორივეჯერ ჩეხმა იყოჩაღა. აქედან ერთხელ, ლონდონის „ჩელსის" მეკარემ პირისპირ დარჩენილ ფრაის ფეხით აული და ნამდვილად იხსნა თავისი ნაკრები. მომენტი ჰქონდა ინლერსაც, ერთ ეპიზოდში ვალონ ბეჰრამიმ გაილაღა მარჯვენა ფლანგზე და მწვავედ ჩააწოდა... შესვენებამდე მომენტი საკუთარ კართან ჩეხების მაგვრადაც მასპინძლებმა შექმნეს, ლუდოვიკ მანინს უხერხულად აეჭრა თავიდან ბურთი, მაგრამ დიეგო ბენალიომ სწორი და დროული რეაქცია გამოავლინა.

ტაიმი ცუდად ჩამთავრდა, თითქოს უწყინარ სიტუაციაში ფრაიმ ტრავმა მიიღო, როცა ზდენეკ გრიგერამ მას ფეხი ჩაუდგა. შვეიცარიელთა გამოცდილმა ფორვარდმა მუხლი დაიშავა და ბავშვივით ატირებულმა დატოვა მინდორი, ხოლო მოგვიანებით ყავარჯნებით დაბრუნდა. სამწუხაროდ, მისთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, არადა, ფრაი მატჩამდეც ძალიან მოტივირებული და ოპტიმისტურად განწყობილი იყო, და სანამ დასცალდა, ძალიან აქტიური გახლდათ. ექიმების თქმით, მას ექვსი კვირა მაინც გაუცდება.

მეორე ტაიმი იმით დაიწყო, რომ ფრაი ჰაქან იაკინმა შეცვალა. კაპიტნის სამკლავური კი მანინმა მოირგო, ვინაც დაცვაში ნორმალურად თამაშის გარდა, რამდენჯერმე კარგად ჩაერთო შეტევაშიც. სიონკოსთან უხეშობისთვის მან ევრო 2008-ზე პირველი ყვითელი ბარათიც მიიღო. მთლიანობაში მატჩი კორექტული გახლდათ.

სანამ შვეიცარიელები იერიშებს აგრძელებდნენ, ბრიუკნერმა მოიფიქრა, რომ ულიმლამოდ მოთამაშე ვეტერანი ფორვარდი იან კოლერი შეეცვალა. მან „კეთილი გიგანტის" ნაცვლად მინდორზე ვლაცლავ სვერკოში შეუშვა.

რატომ წინა ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მილან ბაროში არა? ჩეხებს შექმნასა და ფანტაზიაში ახლა ისედაც უჭირთ. ბაროში კი კოლერის დარად, წმინდა ცენტრფორვარდია და თან საკმაო ხანია, ფორმაში აღარ არის. სვერკოშს პირიქით, მშვენიერი სეზონი ჰქონდა და „ბანიკის" თავდამსხმელს მომენტის შექმნაც კოლერზე და ბაროშზე უკეთ შეუძლია და საკმაოდ ტექნიკურია. მერე რა, რომ ფაქტობრივად ნაკრების დებიუტანტია.

სვერკოშს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვიტავს, მაგრამ გამარჯვების გოლი შეაგდო და ამით ყველაფერი ნათქვამია — შეცვლამ გაამართლა, სიურპრიზი შედგა.

ყველაფერი ისევ მარჯვენა ფლანგიდან, სიონკოს აქიუტობით დაიწყო — კუთხური დაინიშნა, რომელიც, როგორც ჩეხთა თითქმის ყველა სტანდარტული მდგომარეობა, მილანელმა მარეკ იანკულოვსკიმ შეასრულა. შვეიცარიელებმა დაძაბულობა თითქოს განმუხტეს, მაგრამ ჩეხებმა ბურთი მოულოდნელად ჩააბრუნეს საჯარიმოსკენ, რამაც მასპინძელთა დაცვა დააბნია, სვერკოში თამაშგარეში არ გახლდათ და ბენალიოსთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დარყმა მოახერხა.

მალევე კუნმა თავდასხმა გააძლიერა, მცველი შტეფან ლიხშტაინერი მოხსნა და მინდორზე იოჰან ფონლანტენი შეუშვა. თუმცა შვეიცარიელებს ამ მატჩში გატანა რომ არ ეწერათ, ერთმა ეპიზოდმა ნათლად გამოაჩინა — მარკო შტრელერის თავურისას ბურთი ხელზე მოხვდა ჩეხთა კაპიტან ტომაშ უიფალუშს, მაგრამ იტალიელმა მსაჯმა რობერტო როზეტიმ პენალტის დანიშვნა საჭიროდ არ ჩათვალა. უიფალუშის ხელიდან ბურთი ტრანკვილო ბარნეტას მიუვიდა, ვინაც კარგად დაარტყა, მაგრამ ჩეხმა საოცარი რეაქცია გამოავლინა და კიდევ ერთხელ იხსნა თავისი გუნდი. დამატებაზე კი ვეღარც ის იზამდა რამეს, მაგრამ ფონლანტენის ახლოდან დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა.

ანერვიულებული კუნი „ხავსს ჩაეჭიდა" და ბეჰრამის ნაცვლად მინდორზე ახალგაზრდა ფორვარდი ერენ დერდიოკიც შეუშვა, რომელიც 12 ივნისს 20 წლის ხდება. ბოლო წუთებზე შვეიცარიელებმა რაღაც შტურმის მაგვარი კი მოაწყვეს, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე.

სხვათა შორის, შვეიცარიელთა მთავარი იმედისგან ბარნეტასგან ალბათ ყველა ცოტა მეტს ელოდა. 23 წლის ფეხბურთელს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი გამოუვიდა და ნერვიულობაც ეტყობოდა.

საფინალო სასტვენის შემდეგ ბაზელის „სენტ იაკობის" სტადიონზე წითელში გამოწყობილ ბევრ დამწუხრებულ და იმედგაცრუებულ სახეს ნახავდით, როგორც მინდორზე, ასევე ტრიბუნებზე. ჩეხები კი ცხადია, ძალიან ხარობდნენ, მაგრამ საბრძოლველი კიდევ ბევრია.

**გიორგი ძაძაბაძე**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## A ჯგუფი

## №2 პორტუგალია 2:0 თურქეთი

7 ივნისი. ჟენევა (შვეიცარია). „სტად დე ჟენევი“. 29 106 მაყურებელი

1:0 პეპე (61), 2:0 მეირელესი (90)

1 რიკარდუ

მწვრთნელი
ლუიშ ფელიპე სკოლარი

4 ბოსინგვა · 15 პეპე · 16 კარვალიუ · 2 ფერეირა

8 პეტიტი · 10 მოუტინიუ

7 რონალდუ · 20 დეკუ · 11 სიმაო

21 ნუნუ გომეში

8 ნიჰათი

17 თუნჯაი · 21 მევლუთი

7 აურელიო · 5 ემრე · 18 კაზიმი

3 ჰაქან ბალთა · 4 გიოქჰანი · 2 სერვეთი · 22 ალთინთოფი

მწვრთნელი
ფათიჰ თერიმი

23 ვოლქანი

შეცვლა: მევლუთი – 20. საბრი (46),
გიოქჰანი – 15. ემრე აშიქი (55), ნუნუ გომეში – 19. ნანი (69),
სიონჯო – 11. ვლჩეკი (83), ჰამით ალთინთოფი – 9. სემიჰი (76),
სიმაუ – მეირელეში (83), დეკუ – ფერნანდუ მეირა (90)

გაფრთხილება: კაზიმი (4), გიოქჰანი (51), საბრი (73)

მსაჯები: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია);
, კარსტენ კადახი (გერმანია), ფოლკერ ვეცელი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 24 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 1 |
| 6 | თამაშგარე | 3 |
| 28,28 წთ | ბურთის ფლობა | 25,19 წთ |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

პორტუგალიელთაგან ყველაზე მეტად არა კრიშტიანუ რონალდუს ან დეკუს კი ეუხეშნენ (ოთხ-ლთხჯერ წააქციეს), არამედ მეგოლე პეპეს (5). ხოლო თუცრქთაგან ასეთი სერვეთი იყო (6). თურქთაგან ყველაზე უხეში ქაზიმი გახლდათ (5), პორტუგალიელთაგან კი ორზე მატად არავინ დაჯარიმებულა.

ყველაზე მეტჯერ — სამჯერ — თამაშგარეში თურქი თუნჯაი აღმოჩნდა.

# პეპე პელეა?



**ვინ** არის ყველაზე ძვირი ფეხბურთელი პორტუგალიის ნაკრებში? კეპლერ ლავერან ლიმა ფერეირა ანუ პეპე, ვინაც თურქებს ორი გოლი გაუტანა და ერთი ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს.

დიახ, მადრიდის „რეალმა“ შარშან 30 მილიონი ევრო გადაუხადა „პორტუს“ პეპეში — თითქმის ორმაგი, ვიდრე „მანჩესტერმა“ „სპორტინგს“ კრიშტიანუ რონალდუში და ეს მცველი რომ მცველზე უფრო მეტია, შაბათის მატჩში ვნახეთ.

რონალდუმ ვერ გაიტანა, მაგრამ ორივე საგოლე კომბინაცია წამოიწყო. სწორედ მან მიაწოდა ბურთი მეტოქის ნახევარზე პეპეს, რომელმაც ემრე ბელოზოღლუ გადაჯეგა, ნუნუ გომეშთან კედელი გაითამაშა და სანამ მცველები მიხვდებოდნენ, ეს პეპე იყო თუ პელე — ბურთი კარში შევარდა.

ასე შეაგდო პირველი სანაკრებო გოლი (მსაჯისგან არჩათვლილს თუ არა ჩავთვლით) ბრაზილიელმა, რომელმაც პორტუგალიის მოქალაქეობა შარშან აგვისტოში მიიღო.

ლუიშ ფელიპე სკოლარი რომ ხეირიანი შეცვლების ოსტატია, ამ შეხვედრაშიც გამოჩნდა. სიმაუ საბროსას ნაცვლად შესული რაულ მეირელეში პეპეს არ ჩამორჩა და პირველი სანაკრებო გოლი მიითვალა. კომბინაცია კი ისევ რონალდუსგან დაიწყო, მოუტინიუმ გააგრძელა და მეირელეშმა დაასრულა.

ხოლო ის, რაც ფათიჰ თერიმის გუნდმა აჩვენა, თურქულმა გაზეთმა „ფანატიკმა“ ასე შეაფასა: „ნაკრებმა 80-იან წლებში დაგვაბრუნა. მაშინაც სწორედ ასე იყო. მოწინააღმდეგის შიშით, ბევრი არ გავუშვათო, დაცვაში რომ გამოიკეტებოდნენ და მეტოქის კარში ერთი დარტყმული ბურთიც გვახარებდა. წაგებული მატჩის შემდეგ კი მწვრთნელი იტყოდა, ბიჭებმა კარგად იბრძოლესო“.

მართლაც, თურქების არსენალში განსაკუთრებული და ორიგინალური არაფერი იყო. ერთი ქაზიმ რიჩარდსი გამოირჩეოდა იმით, რომ გამუდმებით ფინტაობდა და ჯარიმდებოდა. „ვილიარეალში“ საუცხოოდ მოთამაშე ნიჰათი ნაკრებში თანაგუნდელებისგან მოწყვეტილი ჩანდა, რადგან ფლანგებიდან მისი დამხმარე მევლუთ ერდინჩი და თუნჯაი შანლი სხვა ტალღაზე იყვნენ. ცენტრიდან შეტევები ემრეს უნდა ეთავა, მაგრამ მოუტინიუს, პეტიტს და დეკუს შეასკდა, თან ემრე უფრო ჩამშლელია და ბასრი პასებით ვერ გამოირჩევა. შეცვლაზე შესული საბრი სარიოღლუ და სემიჰ შენთურქიც ნაკრებს ვერაფრით შეეწივნენ.

ლუიშ ფელიპე სკოლარის კი გამართული გუნდი ჰყავს, კარგი შემსრულებლებით. თურქები განსაკუთრებით მარცხენა ფლანგიდან გააწვალეს პირველ ტაიმში სიმაუმ და მეორეში რონალდუმ. სწორედ მარცხენა ფლანგიდან დაიწყო ორივე საგოლე კომბინაცია და ისიც ვთქვათ, რომ ორჯერ ნუნუ გომეშის დარტყმული ბურთი კარის ჩარჩოს მოხვდა.

პორტუგალიელებს ბლომად გულშემატკივრები ჰყავდათ და ნუნუ გომეშმა თქვაშ „თავი სამშობლოში მეგონა. ასეთი მხარდაჭერა ძალიან წაგვადგება თუმც მეორე მხრივ პასუხისმგებლობაც მოგვემატება ქომაგების წინაშე“.

ბოლოს ვთქვათ, რომ გოქნ ზანი და სერვეთ ჩეთინი ტრავმირებულნი არიან და უცნობია, ითამაშებენ თუ არა შვეიცარიასთან.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ვინ რა თქვა

***პეპე:*** „მიჭირს იმის გადმოცემა, რასაც სიხარულისგან განვიცდი, გუნდმა საუცხოოდ ითამაშა და მთავარი ესაა. ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან, გავიტანდით, გოლი კი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო“.

***დეკუ:*** „პორტუგალიამ მაღალი კლასის ფეხბურთი აჩვენა და განსაკუთრებით ჩვენი დაცვის სიძლიერე გამოჩნდა“.

***ლუიშ ფელიპე სკოლარი:*** „ფიზიკურად და ტექნიკურად გუნდი საუცხოოდ არის მომზადებული. ულრმესი მადლობა ჩვენს ექიმებს, რომლებმაც უდიდესი სამუშაო გასწიეს. სწორედ მათი წყალობით არიან ფეხბურთელები კარგ ფორმაში.

როცა თამაში დინამიურია, ყველა, როგორც ერთი, შრომობს და ერთმნეთს ეხმარებიან, წაგების შემთხვევაშიც სასაყვედურო არაფერი მექნება. ამ შემთხვევაში კი ჩვენ მოვიგეთ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სწორი გზით მივდივართ.

მიზანს, ანუ მეოთხედფინალს სანახევროდ მივუახლოვდით. კიდევ სამ ქულას თუ ავიღებთ, ალბათ, ჯგუფიდანაც გავალთ. ახლა საჭირო მარაგის ნახევარი გაგვაჩნია და ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია.

როცა ნუნუ გომეში შევცვალე, ვთხოვე, რომ კაპიტნის სამკლავური კრიშტიანუ რონალდუსთვის გადაეცა, რათა მას დამატებითი მოტივაცია გასჩენოდა. ამან გაამართლა და რონალდუ უკეთ ათამაშდა.

მე არაერთ დიდ ტურნირზე ვყოფილვარ და ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია პირველ მატჩში გამარჯვება. ეს რიტმი და საკუთარი ძალის რწმენა უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერებულობა არ ივარგებს. ახლა ჩეხებთან თამაში მაინტერესებს, რადგან ისინი სხვანაირ ფეხბურთს თამაშობენ. კარგი იქნება თუ მათ დავამარცხებთ და მეოთხედფინალს მალევე გავინაღდებთ“.

***ფათიჰ თერიმი:*** „ჩემი აზრით, პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. პორტუგალია ბურთს უფრო დიდხანს ფლობდა, მაგრამ საგოლე მომენტები არ შევაქმნევინეთ.

შესვენების შემდეგ ინიციატივის ხელში ჩაგდება გვსურდა, მაგრამ პეპეს მოულოდნელმა გოლმა აგვრია. სერვეთ ჩეთინი ფეხმტკივანი თამაშობდა, საერთოდ კი გუნდს მობილიზება აკლდა.

მინდოდა, რომ ალთინთოფი და ემრე უფრო ხშირად წასულიყვნენ შეტევაში და ამიტომ შევუშვი მეორე ტაიმში კიდევ ერთი ნახევარმცველი საბრი, რათა ცენტრში უპირატესობა შეგვექმნა. მეგონა, განაპირა მცველებიც უკეთესად ჩაერთვებოდნენ შეტევაში, თუმც ეს არ გმოგვივიდა.

ახლა უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის შვეიცარიასთან. შეცდომებს გამოვასწორებთ და მომდევნო შეხვედრაში უკეთ ვითამაშებთ. პორტუგალიასთან გაგვიჭირდა, რადგან მათ მსოფლიო კლასის ბევრი ფეხბურთელი ჰყავთ და ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლება“.

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

B ჯგუფი

## №3 ავსტრია 0:1 ხორვატია

8 ივნისი, ვენა (ავსტრია), „ერნსტ ჰაპელი", 51 428 მაყურებელი

0:1 მოდრიჩი (43)

21 მახო

მწვრთნელი იოზეფ ჰიკერსბერგერი

15 პრიოდლი — 3 შტრანცლი — 4 პოგატეცი

6 აუფჰაუზერი — 19 ზეუმელი

2 შტანდფესტი — 12 გერცალიუ

10 ივანშიცი

20 ჰარნიკი — 9 ლინცი

21 პეტრიჩი — 18 ოლიჩი

19 კრანჩარი — 14 მოდრიჩი — 10 ნ. კოვაჩი — 11 სრნა

22 პრანიჩი — 3 შიმუნიჩი — 4 რობ. კოვაჩი — 5 ჩორლუკა

მწვრთნელი სლავენ ბილიჩი

1 პლეტიკოსა

შეცვლა: ზეუმელი – 7. ვასტიჩი (61), კრანჩარი – 15. კნეჟევიჩი (61), გერკალიუ – 11. ქორქმაზი (69), პეტრიჩი – 20. ბუდანი (72), ლინცი – 20. კინასტი (73), ოლიჩი – 8. ვუკოევიჩი (83)

გაფრთხილება: პოგატეცი (3), ზეუმელი (21), რობ. კოვაჩი (51), პრიოდლი (68)

მსაჯები: პეტერ ვინკი (ჰოლანდია); ადრიან ინია (ჰოლანდია), ჰანს ტენ ჰოოვე (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 18 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 0 | თამაშგარე | 3 |
| 28,13 წთ | ბურთის ფლობა | 25,54 წთ |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

## ვინ რა თქვა

*სლავენ ბილიჩი:* „პირველი მატჩი ყოველთვის განსაკუთრებით რთულია და გვიხარია, სამი ქულა რომ მოვიპოვეთ. რა თქმა უნდა, მეორე ტაიმში ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვერ ვიქნები, მაგრამ სწრაფმა გოლმა საკმაო უპირატესობა მოგვცა და ეს გამოვიყენეთ".

*მარტინ შტრანცლი:* „ძალიან დასანანი მარცხი იყო. 25-ე წუთიდან ძალიან კარგად ვითამაშეთ, ყველაფერი გამოგვდიოდა, გოლის გატანის გარდა. ხორვატებმა პენალტით გაგვიტანეს, არადა, კიდევ ორი მომენტი იყო, როცა ხელით თამაშის გამო მსაჯს ჩვენს სასარგებლოდ შეეძლო პენალტის დანიშვნა. რას იზამ, ეს ფეხბურთია".

ავსტრიელთაგან ყველაზე მეტად იოახიმ შტანდფესტი დაიჩაგრა, მას სამჯერ მიარტყეს კოჭებში, თუმცა ეს რაა, ხორვატ დარიო სრნას წინააღმდეგ მეტოქემ ექვსჯერ იუხეშა. არც მლადენ პეტრიჩს დააკლეს ბევრი — მასზე ოთხჯერ დაჯარიმდნენ.

ხორვატთაგან ყველაზე უხეში ვედრან ჩორლუკა იყო (3), ავსტრიელთაგან კი ანდრეას ივანშიცი (4).

ავსტრიელმა ივიცა ვასტიჩმა კარის ჩარჩოში სამჯერ დაარტყა, ხოლო ხორვატებს... ერთხელაც არ დაურტყამთ, რა თქმა უნდა, იმ პენალტის გარდა.

# ხოო!.. რვატები და ჯეკი ჩანი

**პრინციპში,** მოხდა ის, რასაც უმეტესობა ელოდა: ავსტრიას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელია, ხორვატიამ მოუგო. ის კი არა, თავიდან, ბევრს, შესაძლოა, ავსტრიელების დიდი ანგარიშით წაგებამ გაჰკრა გულს. საამისოდ მიზეზიც იყო: თამაშის მხოლოდ და მხოლოდ მე-4 წუთზე რენე აუფჰაუსერმა საჯარიმოში შევარდნილი ივიცა ოლიჩი (ეს ფეხბურთელი მოსკოვის ცსკა-ში თამაშითა და მალხაზ ასათიანის სერიოზულად დაშავებით გვახსოვს ქართველებს) წააქცია, რისთვისაც პეტერ ვინკმა სრულიად სამართლიანი პენალტი დანიშნა. ამ პენალტის დანიშვნას, საკუთარი მაყურებლისთვის თავის მოსაწონებლად შემართებული ავსტრიელების გალიზიანება მოჰყვა, რაც ემანუელ პოგატეცის ყვითელი ბარათში გადაიზარდა, საბოლოოდ კი ლუკა მოდრიჩის შუაში და ზუსტად დარტყმულით დასრულდა — ასე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი.

ადრეული გოლის გაშვებამ ავსტრიელები, ბუნებრივია, შეაკრთო, რის გამოც შეხვედრის პირველმა მონაკვეთმა ხორვატთა მწვავე შეტევებით ჩაიარა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ დასკვნების გაკეთება მაინც ნაადრევი გახლდათ.

ზოგადად, თქვენი არ ვიცი და, ჩემზე პირველმა ტაიმმა უფრო გლადიატორთა ბრძოლის შთაბეჭდილება მოახდინა. ხორვატია ხომ, თითქოს, ავსტრიაზე მაღალი კლასის გუნდად ითვლება, მაგრამ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდი კარგა გვარიანად „წიხლაობდა". იყო მონაკვეთები, როდესაც ხან ერთი და ხან მეორე გუნდის მოთამაშეები ბურთიან მეტოქეს ისე შემოეხვეოდნენ, როგორც ჯეკი ჩანს ცუდი ჩინელები. „წიხლაობის" ყველაზე თვასაჩინო მაგალითი პირველი ტაიმის ბოლოს იყო, როდესაც ზემოთ უკვე ყვითლად ნახსენებმა პოგატეცმა ასევე უკვე ნახსენებ ოლიჩს ჯერ მაისური ჰქაჩა, შემდეგ კი ერთი მტკივნეული წიხლიც ამოსცხო, მაგრამ არბიტრმა მასპინძლის გაძევებისგან თავი შეიკავა.

რაც შეეხება მომენტებს, პირველი ნახევრის ბოლოსკენ თავისი თამაში ავსტრიელებმაც იპოვნეს. უფრო სწორედ, შეიძლება ვცდებით, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს, საყოველთაო ჯეკიჩანობაში მწყობრი ფეხბურთი დაიკარგა და ამან ძალები გაათანაბრა. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ბოლოსკენ უკვე ავსტრიელებმაც შექმნეს მომენტები და მომენტისმაგვარები.

შესვენების შემდეგ კი მასპინძელთა უპირატესობა უფრო თვალსაჩინო შეიქნა. ვითომ, ხორვატებმა განზრახ დაუთმეს მასპინძლებს ინიციატივა, თავად კი დაცვა-კონტრშეტევაზე გადაერთნენ? დაბეჯითებით ვერ გეტყვით, თუმცა ესეც სრულიად შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, აშკარა გახდა, რომ დროის გასვლასთან ერთად, ავსტრიელები სულ უფრო და უფრო მეტად აწვებოდნენ ყოფილი იუგოსლაველების საჯარიმოს, ოღონდ მათი დარტყმულები კარის ჩარჩოს ვერა და ვერ ხვდებოდა.

ერთიხანობა გამოიკვეთა ტიპიური სურათი: ავსტრიელები მარჯვენა ფრთიდან უტევენ, შეტევას მარილს აყრიან — მეტოქის საჯარიმოში სახიფათოდ აწვდიან, მაგრამ ვაგლახ, იქ თავს ველარ ურტყამენ.

შემდეგ, ავსტრიელებმა კიდევ უფრო გაამწვავეს შეტევა — მოედანზე 38 წლის ივიცა ვასტიჩი (სხვათა შორის, ხორვატი) და მჩქეფარე უმით ქორქმაზი შეუშვეს, რომელთაც (ქოქმაზმა ნაღდად და, ალბათ, ვასტიჩმაც) ხორვატების კართან კიდევ უფრო დიდი ხიფათი ატრიალეს, მაგრამ ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვიდა. ის კი არა, სულ ბოლო წამს, მსაჯის წამატებული დროც რომ მთავრდებოდა, ჯარიმიდან ჩაკიდებულ ბურთს რომან კინასტმა თავური მიჰკრა, ოღონდ მიზანს სანტიმეტრები დააკლო.

**პაპუნა ძიძია**



კინასტისა და ჩორლუკას საჰაერო ჯახი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

## №4 გერმანია 2:0 პოლონეთი

8 ივნისი. კლაგენფურტი (ავსტრია). „ვიორთერსე“. 30 000 მაყურებელი

1:0, 2:0 პოდოლსკი (20, 72)

1 ლემანი

მწვრთნელი
იოახიმ ლიოვი

16 ლამი · 21 მეცელდერი · 17 მერტეზაკერი · 2 იანსენი

8 ფრინგსი · 13 ბალაკი

4 ფრიცი · 20 პოდოლსკი

9 გომესი · 11 კლოზე

7 სმოლიარეკი

8 კრჟინოვეკი · 9 ჟურავსკი · 17 ლობოძინსკი

18 ლევანდოვსკი · 5 დუდკა

4 გოლანსკი · 6 ბაკი · 14 ჟევლაკოვი · 13 ვასილევსკი

მწვრთნელი
ლეო ბეენჰაკერი

1 ბორუცი

შეცვლა: ჟურავსკი – 20. გერეირო (46), ფრიცი – 7. შვაინშტაიგერი (56), ლობოძინსკი – 16. პიშჩეკი (65), გოლანსკი – 11. საგანოვსკი (75), გომესი – 15. ჰიცლშპერგერი (75), კლოზე – 22. კურანი (90)

გაფრთხილება: სმოლიარეკი (40), ლევანდოვსკი (60), შვაინშტაიგერი (64)

მსაჯები: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია); გეირ აგე ჰოლენი (ნორვეგია), იან პეტერ რანდენი (ნორვეგია)

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 16 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | თამაშგარე | 4 |
| 45,54 წთ | ბურთის ფლობა | 44,6 წთ |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

# ლიოვმა ბაიერნით მოიგო

**ჩემპიონატზე** პირველი დუბლის ავტორი ლუკაშ პოდოლსკი გახდა და ბომბარდირებშიც დაწინაურდა.

ორივე გოლი ბაიერნული გამოვიდა, რაკი საგოლე პასები მიროსლავ კლოზესი იყო.

ორი დღე და ოთხი მატჩი მიილია ტურნირზე და ერთი რამ გამოიკვეთა: პირველად ვინც გაიტანს, ის იგებს.

გერმანია და პოლონეთი 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ერთ ჯგუფში იყვნენ. მაშინ გოლი ოლივერ ნოივილმა ბოლო წუთზე შეაგდო და მასპინძლებმა მოიგეს.

ორი წლის წინანდელი გუნდიდან გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში წუხელ რვა კაცმა ითამაშა.

ლუკაშ პოდოლსკის ოტმარ ჰიცფელდი გასულ სეზონში დიდად არ ენდობოდა, მაგრამ „პოლდი“ ბუნდესნაკრებისთვის ძვირფასი ფეხბურთელია.

იოახიმ ლიოვმა პოდოლსკის ადგილი ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე მიუჩინა და ისიც როლს კარგად მოერგო: მეტოქის დაცვას შეტევებში მოულოდნელი ჩართვით აფორიაქებდა.

გერმანელებს მარჯვენაფლანგელი არანაკლებ ხეირიანი ჰყოლიათ. ვერდერელმა კლემენს ფრიცმა პირველ ტაიმშივე დაამტკიცა, რომ შეტევაშიც და დაცვაშიც სასარგებლოა.

სხვებთან შედარებით მკრთალი იყო ტორსტენ ფრინგსი, მაგრამ ეს გასაგებია, რადგან თითქმის ნახევარი სეზონი ტრავმის გამო გაუცდა.

მიხაელ ბალაკმა კი „ჩელსიში“ სეზონის ბოლო საუცხოოდ ჩაატარა და წუხელაც კარგად ითამაშა — მეხუთე წუთზე კოხტა პასით კლოზე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მირომაც არ იძუნწა და ბურთი მარიო გომესს მიაწოდა. გომესი პირველადაა დიდ ტურნირზე და ცოტა დაბნეული ჩანდა, ამიტომაც არ გამოუვიდა დარტყმა და კარს აცილა.

„შტუტგარტის“ ფორვარდს ტაიმის მიწურულსაც შეეძლო გატანა, მაგრამ კარში ხეირიანად ისევ ვერ დაუმიზნა. იოახიმ ლიოვმა მაინც აცალა გომესს საათზე მეტხანს თამაში და მერელა შეცვალა, როცა 2:0-ს იგებდნენ.

23 წლის, მაგრამ სანაკრებო დონეზე უკვე გამოცდილმა ლუკაშ პოდოლსკიმ კი, გომესისგან განსხვავებით, შანსები გამოიყენა. მიხაელ ბალაკმა კლოზე ისევ მეკარეს შეატოვა პირისპირ და ამ უკანასკნელმაც ბურთი პოდოლსკის დაუგორა, რომელმაც სამიოდ მეტრიდან შეაგდო.

ლეო ბეენჰაკერმა გერმანელებს ხუთკაციანი ნახევარდაცვა და ერთი ფორვარდი, ები სმოლიარეკი დაუპირისპირა. პოლონელები მარჯვენა ფლანგიდან ლობოძინსკის, მარცხნიდან კი კრჟინოვეკის წყალობით ცდილობდნენ მეტოქის დაცვის გაწელვას და კარგადაც გამოსდიოდათ, მაგრამ მერე უკვე გერმანელთა ცენტრალურ მცველებთან, მეცელდერთან და მერტეზაკერთან ბრძოლას აგებდნენ.

სლავებმა შორიდან კი სცადეს რამდენჯერმე გატანა, მაგრამ იენს ლემანი ჯერ ისე არ დაბერებულა, რომ ასეთი დარტყმები გაეშვა.

ბეენჰაკერმა მეორე ტაიმში ჟურავსკი გერეიროთი შეცვალა და ორი ფორვარდით შეუტია, მაგრამ ამითაც ვერ იხეირა.

ამასობაში კი კლოზემ და პოდოლსკიმ მეორე გოლი მოიფიქრეს და პოლონელებს ქულის გადარჩენის შანსი აღარ დაუტოვეს.

ლუკაშ პოდოლსკიმ სანაკრებო გოლების რაოდენობა 27-მდე გაზარდა, გერმანიამ კი პოლონეთს მეთოთხმეტე მატჩიდან მეათე მოუგო. დანარჩენი ოთხი ფრედ დასრულდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ვინ რა თქვა

***ლუკაშ პოდოლსკი:*** „ჩემთვის ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა რამდენი გოლი გავიტანე. მთავარია, რომ გუნდმა კარგად ითამაშა და მიზანს მივაღწიეთ.

ხშირად ახსენებენ ჩემს პოლონურ წარმომავლობას. დიახ, მე პოლონეთში დავიბადე, ძალიან დიდი ოჯახი მყავს და ამ ქვეყანას ჩემს გულში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს.“

***მიხაელ ბალაკი:*** „მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიყავით და შეცდომები არ დაგვიშვია. მეტოქეს ერთ ხანს, ბურთის კონტროლის საშუალებაც კი მივეცით, მაგრამ შანსები გამოვიყენეთ და მოვიგეთ.“

**გერმანელებმა ყველაზე მეტად იაცეკ კრჟინოვეკი და დარიუშ დუდკა არ დაინდეს — ხუთ-ხუთჯერ წააქციეს, ხოლო ყველაზე უხეში გერმანელი მიხაელ ბალაკი და პოლონელი პაველ გოლანსკი იყვნენ (4-4).**

**მატჩში სულ 927 პასი გაკეთდა, რომელთაგან 76 პროცენტი ზუსტი იყო. ყველაზე მეტი პასი მარსელ იანსენმა გააკეთა (66). ნახსენები 927 პასიდან 207 მოკლე იყო, საშუალო სიგრძისა — 546, ხოლო 174 პასი — გრძელი.**



ლუკაშ პოდოლსკი ორი დღის მერე ორი გოლით ჩემპიონატის ბომბარდირია

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# რობერი კუბიცას მონრეალური რეალობა

**მარიო ტაისენი**, „BMW-ზაუბერის" შეფი კანადის დიდი პრიზის წინ კატეგორიულად აცხადებდა, რობერტ კუბიცას წლეულს საჩემპიონო შანსი არა აქვს და ამაზე არც ვფიქრობთო.

რობერტ კუბიცას შარშან მონრეალში, ჟილ ვილნევის ავტოდრომზე საშინელი ავარია შეემთხვა და ღმერთს უნდა უმადლოდეს, ცოცხალი რომ გადარჩა.

გადარჩა, პირველ ფორმულაში დარჩა და აი, ზუსტად ერთი წლის შემდეგ პოლონელმა მრბოლმა ისტორია შექმნა — კარიერაში პირველად მოიგო დიდი პრიზი, რომელიც ამავე დროს, ასევე პირველი გახლავთ „BMW-ზაუბერის" საპირველფორმულო ისტორიაში, ბუნებრივია, ასევე პირველია პოლონური ავტოსპორტისთვის და ამ ყველაფრის გვირგვინი კი ის გახლავთ, რომ კუბიცა წლევანდელი ჩემპიონატის გენერალური კლასიფიკაციის თავშია.

გუშინ მონრეალში, ნოტრ-დამის კუნძულზე ფანტასტიკური რბოლა შედგა, არანაკლები, ვიდრე ორი კვირის წინ მონტე კარლოს ქუჩებში იყო, თუმცა სანამ რბოლაზე ვიტყოდეთ, გუშინწინდელი კვალიფიკაციისა ვთქვათ.

გადაჭედილი ტრიბუნები და საშინელი ასფალტი — აი, ის პირველი შთაბეჭდილება, რომელიც წლევანდელი კანადის დიდი პრიზის თაობაზე, უკვე კვალიფიკაციისას შეიქმნა. სავსე ტრიბუნები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ შუაგულ მონრეალში, მდინარე წმინდა ლავრენტის აუზში ხელოვნურად შექმნილ კუნძულ ნოტრ-დამზე მდებარე ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომის უხარისხო ასფალტმა მრბოლებს გვარიანი პრობლემები შეუქმნა და შაბათს, კვალიფიკაციის შემდეგ, ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ტრასის მესამე სეგმენტში, ბოლო ჩქაროსნული მონაკვეთის წინა მეათე მოსახვევში, გზის საფარი სულაც დამსხვრეული იყო და კანადური ეტაპის დირექტორის, ჩარლი უაიტინგის გადაწყვეტილებით, კვალიფიკაციის დასრულებისთანავე ამ ადგილას ახალი საფარის დაგება დაიწყეს, რათა რბოლა შედარებით ნორმალურ პირობებში ჩატარებულიყო.

ერთადერთი კაცი, ვინც შაბათს გზის საფარზე არ წუწუნებდა, ლუის ჰემილტონი გახლდათ. რა გასაკვირია — ბრიტანელმა კვალიფიკაციის სამივე სერია დიდებულად ჩაატარა და წლევანდელ სეზონში მეორედ მოიპოვა პოულ-პოზიცია. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ჰემილტონს კვალიფიკაცია სასტარტო, ავსტრალიური ეტაპის შემდეგ არ მოეგო, „მაკლარენის" მრბოლის სიხარულის მიზეზი უფრო გასაგები გახდება.

ანალოგია ავსტრალიური და კანადური დიდი პრიზების კვალიფიკაციებს შორის ჰემილტონის პოულით არ ამოწურულა. ისევე, როგორც მწვანე კონტინენტზე, მონრეალშიც მეორე შედეგი „BMW-ზაუბერის" პოლონელმა რობერტ კუბიცამ აჩვენა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჰემილტონმაც და კუბიცამაც საუკეთესო დრო სულ ბოლო წრეებზე აჩვენეს, როდესაც ასფალტი ყველაზე ძალიან იყო წამხდარი.

მესამე შედეგი მსოფლიოს ჩემპიონ კიმი რაიკონენს ჰქონდა და საერთოდ თავშეკავებული და უემოციო ფინელი გზის საფარის გამო უკმაყოფილობას ვერ მალავდა. უკმაყოფილების უფრო მეტი მიზეზი კიმის ბრაზილიელ თანაგუნდელ ფელიპე მასას ჰქონდა, რომელმაც კვალიფიკაცია მეექვსე შედეგით დაასრულა. „ფერარის" ორ პილოტს შორის კი „რენოს" ფერნანდო ალონსო და „უილიამსის" ნიკო როსბერგი აღმოჩნდნენ. ალონსო მეოთხე სასტარტო პოზიციით, ცოტა არ იყოს გაკვირვებული დარჩა — მანქანა ბოლომდე სტაბილური ჯერაც არ არის, თუმცა ასეთი კვალიფიკაციის წყალობით ვიმედოვნებ, რომ რბოლის შემდეგ საკმაოდ ქულები მექნებაო. რაც შეეხება როსბერგს, მან კარიერაში საუკეთესო კვალიფიკაცია ჩაატარა და მასას გარდა „მაკლარენისა" და „BNW-ზაუბერის" მეორე პილოტები, ჰეიკი კოვალაინენი და ნიკ ჰაიდფელდიც უკან მოიტოვა..

და ერთიც კვალიფიკაციის შესახებ — უვარგისი ასფალტის გამო მარკ ვებერს ავარია შეემთხვა და ამის გამო მესამე სესიაში მონაწილეობა ველარ მიიღო, ხოლო „ტორო როსოს" სებასტიან ფეტელმა კვალიფიკაცია საერთოდ გამოტოვა, რადგანაც პარასკევს, თავისუფალი პრაქტიკისას ისე დალეწა მანქანა, რომ მექანიკოსებმა შაბათისთვის მისი აღდგენა ველარ მოასწრეს.

ჰემილტონმა კვალიფიკაციაც მოიგო და სტარტზეც უპრობლემოდ შეინარჩუნა პირველობა, მთელი 18 წრე ბრიტანელი ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ადრიან სუტილის ავარიის გამო ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა, რის შემდეგაც მრბოლები დაგეგმილი პიტ-სტოპისკენ გაეშურნენ და დაიწყო...

ისე მოხდა, რომ ბოქსებში ჰემილტონი რაიკონენისა და კუბიცას უკან აღმოჩნდა და გამოვლისას, როდესაც ფინელი და პოლონელი შუქნიშანზე მოულოდნელად ანთებულ წითელზე გაშეშდნენ, ჰემილტონმა დამუხრუჭება ველარ მოასწრო, რაიკონენის „ფერარის" შეასკვდა და რბოლა შარშანდელი ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის გარეშე დარჩა,

კუბიცა უკვე პირველი იყო, თუმც ისე მოხდა, რომ პოლონელს თავის გერმანელ თანაგუნდელ ნიკ ჰაიდფელდზე ერთით მეტი პიტ-სტოპი მოუწია და საქმე იმაში იყო, შეძლებდა თუ არა საჭირო უპირატესობის მოპოვებას.

სანამ კუბიცა თითოეულ წრეზე უძვირფასეს წამებს იგებდა, მასას დაუგეგმავი პიტ-სტოპი დაჭირდა და პელოტონის ბოლოში მოხვედრილმა, საბოლოო ჯამში მეხუთე ადგილსლა გამოკრა ხელი.

ჰემილტონი და რაიკონენი ტრასაზე აღარ იყვნენ, მასა სადღაც ჩაიკარგა და მესამე ადგილზე, ჰაიდფელდის უკან მყოფმა ალონსომ კი 45-ე წრეზე „რენო" ველარ დაიმორჩილა და რბოლას გამოეთიშა. მთავარი ისღა იყო, კუბიცა მეორე პიტ-სტოპიდან ჰაიდფელდზე წინ გამოსულიყო და ასეც მოხდა — ფინიშამდე, უკვე აღარაფერი რჩებოდა და პოლონელმა ტრიუმფალურად გაიარა ბოლო კილომეტრები.

კუბიცას დიდი პრიზი და „BMW-ზაუბერის" დუბლი — პოლონელის შემდეგ ფინიში ჰაიდფელდმა გადაკვეთა და ამის შემდეგ ძნელია, ერწმუნო მარიო ტაისენს, წლეულს ჩვენ პირველობისთვის ბრძოლა არ შეგვიძლიაო.

მესამე კი შოტლანდიელი ვეტერანი დევიდ კულტჰარდი იყო და ის შარშანდელი მონაკოს დიდი პრიზის შემდეგ პირველად შედგა პოდიუმზე. ცალკე სათქმელია „ტოიოტას" მრბოლების მეოთხე და მეექვსე ადგილები, კიდევ ერთი ვეტერანის, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოს ქულათა ზონაში მოხვედრა და სებასტიან ფეტელის მერვე ადგილი და ერთი ქულა — „ფორს ინდიას" პილოტმა ხომ რბოლა უკანასკნელი, მე-20 სასტარტო პოზიციიდან დაიწყო.

**კახა ლომაძე**

## ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეშვიდე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**კანადის დიდი პრიზი**
**8 ივნისი. მონრეალი**
დისტანცია 70 წრე — 305,270კმ

| | |
|---|---|
| 1(2). რობერ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") | 1სთ.36წთ.05,480წმ (საშ.სჩ 190,612კმ.სთ) |
| 2(8). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") | +16,4წმ |
| 3(13). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო") | +23,3 |
| 4(11). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") | +42,6 |
| 5(6). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") | +43,9 |
| 6(14). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა") | +47,7 |
| 7(9). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა") | +53,5 |
| 8(20). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი") | +54,1 |
| 9(7). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | +54,4 |
| 10(5). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა") | +57,7 |
| 11(19). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა") | +1.07,5 |
| 12(10). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო") | +1.11,2 |
| 13(16). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი") | +1წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 14(18). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი") | გაიარა 51 წრე |
| 15(12). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა") | 46 |
| 16(4). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") | 44 |
| 17(15). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო") | 39 |
| 18(3). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") | 19 |
| 19(1). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | 19 |
| 20(17). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი") | 13 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *ჰემილტონი* | 1 წთ 17,886 წმ (საშ. სიჩქარე 201,571 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *რაიკონენი* | 1 წთ 17,387 წმ (საშ. სიჩქარე 202,871 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ევროპა 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | | | | | | | | | | | | 42 |
| 2 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | 38 |
| 3 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | | | | | | | | | | | | 38 |
| 4 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | | | | | | | | | | | | 35 |
| 5 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | | | | | | | | | | | | 28 |
| 6 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | | | | | | | | | | | | 15 |
| 7 ვებერი | — | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | — | | | | | | | | | | | | 15 |
| 8 ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | | | | | | | | | | | | 12 |
| 9 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | | | | | | | | | | | | 9 |
| 10 როსბერგი | 6 | — | 1 | — | 1 | — | — | | | | | | | | | | | | 8 |

*ნაკაჯიმა — 7, ფეტელი, ბარიკელო, გლოკი — 5-5-5, ბატონი — 3, ბურდე — 2 ქულა*

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | თურქეთი | მონაკო | კანადა | საფრანგეთი | ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ევროპა | ბელგია | იტალია | სინგაპური | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | 73 |
| 2 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | | | | | | | | | | | | 70 |
| 3 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | | | | | | | | | | | | 53 |
| 4 რედ ბული | — | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | 6 | | | | | | | | | | | | 21 |
| 5 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | | | | | | | | | | | | 17 |

*უილიამსი — 15, რენო — 9, ჰონდა, — 8, ტორო როსო — 7 ქულა*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge